



მედიის უნივერსიტეტი

№ 9 (265) ოქტომბერი, 2019 წელი

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან



„ჩვენ ვარსებობთ, მოდით ჩვენამდე“

საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა, 22 ოქტომბერს. ქალბატონი ნინო, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ წარუდგინა: ქალბატონი ნინოს ვიზიტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტუდენტები, ჩვეულ რეჟიმში, მაქსიმალურად

შეცდებიან, მეტი გაიგონ სახალხო დამცველის აპარატის სამსახურის შესახებ, მეტად გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რასაც მათ სახალხო დამცველის აპარატი სთავაზობს. სტუდენტებისთვის ეს შესაძლებლობები მნიშვნელოვანია, რათა იყვნენ აქტიურები, დაცულნი, ღირსეული მოქალაქეები.

გაგრძელება მე-2 გვ.

„იშუაშო ვეჩა ზეჩიის ზეჩით, ეს ნიშნავს, შილო ჰიდეშ შთი ზეოშენი“

უნივერსიტეტის სათავეებიდან დღემდე

2 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, სტუდენტებმა პროფესორ მერაბ ბერიძეს 70 წლის იუბილე მიულოცეს. ღონისძიება ორგანიზებული იყო განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ. ბატონი მერაბის დამსახურებისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ არაერთი თბილი სიტყვა ითქვა. საიუბილეო საღამო ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა გულიკო ბექაურმა გახსნა. წაკითხულ იქნა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზე-


თებში დაბეჭდილი საიუბილეო მილოცვები, განსაკუთრებით აღინიშნა მწერალთა კავშირის გადაწყვეტილება მერაბ ბერიძისათვის ქართული კულტურის რაინდის წოდების მინიჭების შესახებ.

გაგრძელება მე-5 გვ.



ნუგზარ ჰაპუაშვილის წიგნის პრეზენტაცია „გულანზე“

გვ. 3.4



გვ. 3.3

ერთად – გმერთა ჰაბივსაცემად

საქართველო

გზაზე მინათებენ დედის ნათელივით მუდამ იღუმელი უცხო შთაგონებით – დიდი ფიროსმანის ყალმით დაწერილი ჩემი მზე და მინა, ჩემი მთა-გორები... მრავლით დარბეული, მრავლით ადღენილი მარად ბრძენთა ბრძენი, მარად გმერთა გმირი, უხვი, მაღლიანი, შრომით ალვლენილი... სულით უმტკიცესი, გულით პირდაპირი... მწვავდა ჩემი ზეცა მუდამ ლურჯოვალეობა, რალაც სიღიადით, რალაც თილისმებით... ლოცვით მინატრია მისი უკვდავება, ლოცვით მომივლია მისი დიდი გზები... მათა ორნოხები მხედრებს ედრებიან... მათმა მოგონებამ ღამე დამათენოს... უცხო წალკოტია, უცხო ედემია, ჩემი ერთი მუჭა – დიდი საქართველო!..



„მოკვდავნი შინაშა მწყალობენ. მე კი უკვდავა მქვიანო.“

ელენე დიდიბაიძე

გაბაღაბაძე 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და მისი წიგნის „სუნთქვა პოეტის“ პრეზენტაცია

25 ოქტომბერი, 2019 წელი, დსაფსი 16:00

მასკათის სახელმწიფო თეატრის მიმდებარე საღამოს ორგანიზატორმა ახალციხის მნიშვნელობის მქონე

დიდი ელენე გვ. 3.6-7



წარმატებული პროექტების გზაგადასვლა

„SKYE კლუბი“ და „ახალგაზრდა მენარმეთა სკოლა“

გვ. 3.8

საჯარო დახმება ენების შესწავლის განხორციელებას

გვ. 3.8

„ადამიანი ადამიანისთვის არის ძალა და სიცოცხლე“

გვ. 3.9

წიგნებთან ერთად... გვ. 3.10

არქეოლოგიური ძეგლი – ძალისხას ნაძალაძე

გვ. 3.10

„სუფრესოჯა შანდუფრეაქია“

გვ. 3.11



პირველი გვერდიდან

ნინო ლომჯარიამ ისაუბრა სახალხო დამცველის მანდატზე, ადამიანის უფლებებზე და, ზოგადად, ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე. როდესაც სამოქალაქო საზოგადოების წევრი ვიყავი, უნივერსიტეტის ამ დარბაზში, არაერთ შეხვედრაში მიმიღია მონაწილეობა. დღეს შეხვედრაზე ბევრ სტუდენტს ვხვდები. დიდი მადლობა ასეთი ინტერესისთვის. სტუდენტებს სწორად ვხვდები და ჩემთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიღებ. ძალიან კარგად ჩანს, რა ანუხებს ახალგაზრდობას, რაზე უნდათ, რომ იმუშაონ, რა უფლებების დარღვევა ეხებათ მათ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს ახალგაზრდებთან მჭიდრო ურთიერთობა.

ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი არის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც შეიქმნა საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე; ის არის სახელმწიფო უწყება, მგრამ არის სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუტი ყველა სხვა შტოსგან. სახალხო დამ-

ცველს აქვს მაღალი გარანტიები დამოუკიდებლობისთვის. ეს იმისთვის სჭირდება, რომ შეასრულოს თავისი მთავარი

„ჩვენ ვაჩსაოთ, მოდი ჩვენაქ“



ფუნქცია. სახალხო დამცველის ფუნქციაა, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გაუწიოს ზედამხედველობა ადამიანის უფლებების დაცვას, რაც არის გარანტირებული ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით და მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიანოდოს შესაბამის უწყებებს, პირველ რიგში პარლამენტს. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის მნიშვნელოვანი ბერკეტი – რეაგირება მოახდინოს

ინდივიდუალურ განცხადებებზე: თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი უფლება, მას შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს. ჩვენ ვსწავლობთ თითოეულ განცხადებას. წელიწადის განმავლობაში 10000 განცხადება შემოდის, თითქმის, ამდენივეს ვიღებთ ცხელი ხაზის მეშვეობით და თითოეულ მათგანზე ვახდენთ რეაგირებას. თუ ჩავთვლით, რომ დაირღვა ადამიანის უფლება, ვეუბნებით შესაბამის

დაც ვინცებთ ამა თუ იმ საქმის შესწავლას, როდესაც ვიგებთ, რომ ვინმეს უფლება დაირღვა. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთი ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონია, რომ აქ ცხოვრობენ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები. ამიტომ, არსებობს სპეციფიკური საჭიროებები. ერთ-ერთი საჭიროება გახლავთ განათლების ხელმისაწვდომობა. სახალხო დამცველის აპარატის პრიორიტე-

რად მიმდინარეობს მუშაობა. ქალბატონმა ნინომ გამოხატა ინტერესი, როგორ მიმდინარეობს განათლების მიმართულებით სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რამდენად ასრულებს თავის ფუნქციას მოსამზადებელი პროგრამა არაქართველთათვის, რა შეიძლება შეეცვალოს იმისთვის, რომ ხელმისაწვდომი გახდეს განათლება.

მან სტუდენტებს მიანოდა ინფორმაცია, რომ სახალხო დამცველის აპარატს აქვს რეგიონული ოფისები, იმის შესახებაც, რომ რაიმე პრობლემის შემთხვევაში, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე.

შეხვედრა, რომელსაც საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა, საინტერესოდ წარიმართა. სტუდენტებმა, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, დასვეს კითხვები, გამოთქვეს მოსაზრებები. ქალბატონმა ნინომ სტუდენტთა მოსაზრებები მოისმინა, უპასუხა კითხვებს და შეხვედრა დაასრულა ფრაზით – ჩვენ ვარსებობთ, მოდი ჩვენამდე.

ლიკა ზაზაშვილი

უნყებას, რომ ამ ადამიანის უფლება დაიცვას და აღადგინოს. გარდა ამისა, ჩვენ თავა-

ტია ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების დაცვა. ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიუ-



● 4 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ მონაწილეობა მიიღო მხარის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა პირველ რეგიონულ ახალგაზრდულ ფორუმში, რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ახალგაზრდები.

აღნიშნული ფორუმის მიზანია სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან განხორციელებული ახალგაზრდული საქმიანობის გაცნობა, ინფორმირებულობის გაზრდა და ერთიანი ხედვის შემუშავება.

● 17 ოქტომბერს, ნატოს დღეების ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაულე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეების გაცნობიერებული მხარდაჭერის ხელშეწყობა და ინფორმირებულობის გაზრდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, საქართველოსა და ნატოს შორის არსებული თანამშრომლობის მექანიზმების, პერსპექტივებისა და გამოწვევების შესახებ. აღნიშნულ შეხვედრას უძღვებოდა ექსპერტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში –

ინფორმაცია

ირაკლი მენაღარიშვილი.

აუდიტორიის მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია საკითხმა, რის გამოც შეხვედრაში ინტერაქტიული ხასიათი მიიღო.

ღონისძიება ჩატარდა სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ორგანიზებითა და საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის მხარდაჭერით.

● 31 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა კონსორციუმის შეხვედრას ERASMUS+ CBHE პროექტის – აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY) – ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება 2017 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინატორობით; კოორდინატორი – ქეთევან დარახველიძე. კონსორციუმის წევრია 12 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 4 ევროპელი პარტნიორი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება: ვენის (ავსტრია), როუჰემპტონის (დიდი ბრიტანეთი), უფსალას (შვედეთი), დუბლინის (ირლანდია) უნივერსიტეტები.

შეხვედრის მიზანი იყო დაწესებულებების მიერ პირველი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებისა და მეორე წლისთვის დაგეგმილი აქტივო-

ბების მიმოხილვა. ასევე, პროექტში ჩართულმა უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა განიხილეს, რამდენად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტებში გადაწყვეტილების მიღების ეფექტური მექანიზმები და პროექტის აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსების შესაბამისობა.

შეხვედრის პირველ დღეს პროექტის წევრმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წარმოადგინეს პროექტის პიარ კამპანიები, რაც განხორციელდა პირველ წელს და იგეგმება მეორე წლისთვის, ხოლო მეორე დღე დაეთმო მიღწევების განხილვას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პირველი დღის მიღწევებზე ისაუბრა პროექტის ინსტიტუციურმა მენეჯერმა, პროფესორმა თინა გელაშვილმა.

ქართულებთან ერთად, კონსორციუმის შეხვედრაში მონაწილეობდნენ პროექტში ჩართული ევროპული პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. მათ წარმოადგინეს საუკეთესო პრაქტიკა თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს პიარ კამპანია აკადემიური

კეთილსინდისიერების ხელშეწყობის მიზნით.

● 30-31 ოქტომბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, Erasmus + ის საქართველოს ეროვნული ოფისის ორგანიზებით, საერთაშორისო საკონტაქტო სემინარი მიმდინარეობდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა თეა თათუნაშვილმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტმა ნანა მიქელაძემ.

სემინარზე ევროპისა და საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ფორუმში საქართველოს 44, ხოლო ევროპის 11 ქვეყნის 46 უნივერსიტეტი მონაწილეობდა.

უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან





სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო ისტორიის საზოგადოებას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანს პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა, ერთობლივი სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება წარმოადგენს.

17 სექტემბერს, უნივერსიტეტის სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე მამუკა გოგიტიძე და საზოგადოების სხვა წევრები ესტუმრნენ. შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა, სადაც დამსწრე საზოგადოება სამხედრო ისტორიის საზოგადოების საქმიანობას, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საკითხებს და სამომავლო გეგმებს გაეცნო. კერძოდ, დაიგეგმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან უახლეს ომებში დაღუპულ გმირთა შესახებ წიგნის გამოცემა, ასევე, ისაუბრეს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საჯარო ლექციების წაკითხვის თაობაზე. გამოითქვა მოსაზრებები, რომ უნდა არსებობდეს უახლესი დროის ომების შესახებ ანალიზი, რომლის გაკეთებაც ისეთმა პროფესიონალმა ისტორიკოსებმა უნდა იტვირთონ, როგორც სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრები არიან. გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას ქართული ბრძოლების შესახებ კომპიუტერული თამაშები, რომლის მეშვეობითაც ახალი თაობა საქართველოს ისტორიას გაეცნობა.

შეხვედრაზე სამხედრო ისტორიის საზოგადოების ხელმძღვანელებმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ახალი წევრები აირჩიეს. ასევე, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის ბრძანებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მერაბ ბერიძე, მესხეთის საკითხებში რეგიონული რწმუნებულის მრჩეველად დაინიშნა. შეხვედრის მსვლელობისას ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ 17 ოქტომბერი ვეტერანთა დღეა.

შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ

გახსნა, მიესალმა მობრძანებულ სტუმრებს და ხაზი გაუსვა მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობას. როდესაც ვამბობთ – საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება, ასე მგონია, რომ ეს ტოლფასია

ერთად – გმირთა პატივსაცემად

საქართველოს ისტორიის, ზოგადად – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ. – ჩვენი ქვეყნის არსებობისა და ისტორიის განმავლობაში, საქართველოს ყველა მოქალაქე გარკვეულწილად მებრძოლია, მაგრამ იმ ძალებს, სამხედრო ძალებს, ძალოვან სტრუქტურებს, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც იარაღით იცავენ ჩვენს სამშობლოს, ვფიქრობთ, განსაკუთრებული პატივისცემა და დაფასება სჭირდება. ჩვენ გვყავს გმირები, ცოცხალი გმირები. ჩვენი უახლესი ისტორია, სამწუხაროდ, ომების ისტორიაა. ჩვენ რეგიონს ცხინვალსა და აფხაზეთში დაღუპულები ჰყავს. მოდით, ერთობლივად შევისწავლოთ და წიგნად გამოვცეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ჩვენი დაღუპული გმირების ისტორია.



ვახეთის რეგიონიდან ჩვენი დაღუპული გმირების ისტორია.

რექტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ერთობლივი თანამშრომლობით წიგნის გამოცემის თაობაზე, დაეთანხმა სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე, პოლკოვნიკი მამუკა გოგიტიძე. მან აღნიშნა, რომ ამისი პრეცედენტი უკვე არსებობს, რადგან გამოიცა მსგავსი შინაარსის წიგნი „ქვემო ქართლის სამხედრო მატინე“. ბატონმა მამუკამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სამხედრო ისტორიის საზოგადოების წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გიორგი ბერიძე. მისი განმარტებით, სამხედრო ისტორიის საზოგადოების მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. საქართველოს

დითი ზომები, ახალგაზრდებს გავაცნოთ სამხედრო თავდადების ამბები. შემოვდივარ წინადადებით, რომ თქვენს სტუდენტებს წავუკითხოთ საჯარო ლექციები სამხედრო ამბებზე.

საჯარო ლექციების წაკითხვის შემთავაზებას უნივერსიტეტის რექტორი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საჯარო ლექციების გარდა, სამხედრო ისტორიის ხელოვნება, გარკვეულ სპეციალობებზე, შესაძლებელია სტუდენტთათვის იყოს შეთავაზებული როგორც არჩევითი საგანი.

გიორგი ბერიძემ სამხედრო საქმის პოპულარიზაციისა და ერთობლივ ღონისძიებებზე ისაუბრა, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გაკეთდება რეგიონში: უნივერსიტეტში არის ტრადიცია



ამ თემებზე მუშაობის. არაერთ კონფერენციაზე გაუღერებულა სამხედრო ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტში მშრალი ნიადაგი არ არის. მსიამოვნებს, რომ პირველი ხელშეკრულება, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გავაფორმეთ, ეს იყო თავდაცვის ეროვნული აკადემია და მეორე არის ჩემი საყვარელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ბეჟიტაშვილმა შეხვედრაზე მყოფთ გააცნო სამხედრო ისტორიის საზოგადოების დაარსების ისტორია და საქმიანობა. აღნიშნა, რომ სამხედრო ისტორიის საზოგადოება ჩამოყალიბდა 2017 წლის 28 დეკემბერს, რომლის დამფუძნებლებიც პოლკოვნიკი მამია გოგოლაძე, მამუკა გოგიტიძე და თავდა გიორგი ბეჟიტაშვილია. ისაუბრა სამხედრო ისტორიის საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნებზე, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა. მისი ინფორმაციით, სამხედრო ისტორიის საზოგადოებამ ჩაატარა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია და კვლა-

ვაც აქტიურად აგრძელებს საქმიანობას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ და უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ბავარტიონთა სახლის ისტორიკოსმა და სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრმა იოსებ ბიჭიკაშვილმა, თადარიგის ვიცე პოლკოვნიკმა, სამხედრო ისტორიის საზოგადოების თანამდამარსებელმა მამუკა გოგოლაძემ და სამხედრო ისტორიის საზოგადოების წარმომადგენელმა, ქვემო ქართლის რეგიონში, დავით ჯოჯოლიძემ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ სამხედრო ისტორიის საზოგადოების საქმიანობას წარმატებული და ნაყოფიერი უწოდა, რადგან ჩამოყალიბებულ ორი წლის მანძილზე, საზოგადოებამ არაერთი წიგნი გამოსცა და რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა. დღეს ისეთი შეხვედრაა, რომელმაც იდეები უნდა წარმოქმნას და ერთობლივი საქმე დაიგეგმოს. ჩვენ მართო მოგებულ ომების ისტორიები არ უნდა გვქონდეს. უნდა გვქონდეს ანალიზი, თუ რატომ წავაგეთ ესა თუ ის ბრძოლა. არ არის უახლესი ისტორიის ბრძოლების ანალიზი. სამხედრო ისტორიის საზოგადოების პერსპექტივას ამ კუთხით ვხედავთ, რომ ჩვენი წავებულ ომები პროფესიონალთა, ისტორიკოსებმა გააანალიზონ. ასევე, ახალი არქივები უნდა გაკეთდეს ჩვენი დაღუპული ბიჭების, ელექტრონული ვერსიაც და ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამ ყველაფერს ვხედავთ თქვენს საქმიანობაში. – აღნიშნა ბატონმა მერაბმა.

შეხვედრაზე მე-13 შავნაბადას შტაბის უფროსმა, მაიორმა თენგიზ გობაძემ აღნიშნა, რომ მათი ბატალიონი ხუთ ძირითად ქვაკუთხედზე დგას. ეს არის ფიზიკური მომზადება, სამხედრო დისციპლინა, საბრძოლო მომზადება, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება. საბრძოლო სულისკვეთება იყო ქართველი მებრძოლის ძირითადი უპირატესობა უთანასწორო ბრძოლებში. ამიტომ, მივესალმები სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრების საქმიანობას ამ მიმართულებით. ჩვენ შეიძლება ერთ თვეში ვიყიდოთ უახლესი საბრძოლო აპარატურა, მაგრამ ერთ თვეში ვერ ვიყიდით განათლებას და სულისკვეთების ამაღლებას. ჩვენი მიზანია, რეგიონში არსებულ ინსტიტუტებთან ურთიერთობა. ჩვენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ვთანამშრომლობთ საჯარო ლექციების კუთხით. ერთობით მივალწევთ იმ მიზანს, რასაც ჩვენი ქვეყნის გაძლიერება და ფეხზე დაყენება ჰქვია.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, სტუმრებმა უნივერსიტეტის მუზეუმი დაათვალიერეს და გაეცნენ იქ არსებულ მასალას.

სამეცნიერო გულანის გაფართოებულ სხდომაზე, 24 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში პროფესორ **ნუგზარ პაპუაშვილის** ნიგნის **„ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში“** პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაცია რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** გახსნა, ისაუბრა ნიგნის ავტორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერიოდზე. 1990 წლიდან 1991 წლის ბოლომდე ბატონი **ნუგზარ** მამინდელ **მესხეთის ფილიალში** პედაგოგი იყო. როდესაც ვინაყვებით დიდ საქმეს, როდესაც თითოეული ადამიანი, პროფესორი, გულშემატივარი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაშინ წამოვიდა ბატონი **ნუგზარ** ახალციხეში და მხარში დაუდგა ჩვენს მამინდელ ფილიალს. 2000 წელსაც მუშაობდა ჩვენთან. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მას აქვს უსერიოზულესი ნაშრომები თეოლოგიაში, თეოლოგიის ისტორიაში, ძველ ქართულ მწერლობაში. რაც მთავარია, მას აქვს კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. – აღნიშნა ბატონმა **მერაბმა**.

მომავალი წელი საიუბილეო წელია, ჩვენ უნივერსიტეტის დაარსების 30 წლის მიჯნაზე ვართ. 90-იან წლებში თქვენს ჩამოხრძანებას 30 წელი შეუსრულდება. გამოვხატავთ განსაკუთრებულ მადლიერებას იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავის დროზე ჩამოვიდა იმ გაჭირვებულ, რთულ ეკონომიკურ პირობებში ჩვენს უნივერსიტეტში და წვლილი შეიტანა მის განვითარებაში. – აღნიშნა ნიგნის პრეზენტაციაზე უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებული პროფესორმა **მაკა ბერიძემ**. მან, ასევე, ისაუბრა წარდგენილი ნიგნის შესახებ, რომ ნებისმიერი ნიგნის დაბადება მნიშვნელოვანია. მერე იწყება მისი განხილვა, ანალიზი. როდესაც მეცნიერთა „ვერდიქტი“ იქნება დადებითი, მერე არა მარტო ნიგნი ხდება უკუდავი, არამედ მისი ავტორიც. დიდი მადლობა მოახსენა ბატონ **ნუგზარ**ს მობრძანებისთვის და უსურვა, რომ მის ნიგნებს დიდხანს ეცოცხლოს.

სტუმარს მიესალმა ასოცირებული პროფესორი **ნატო ყრუაშვილი**: ნიგნი მრავალმხრივია საინტერესო. – აღნიშნა მან. – ნიგნი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის საქართველოში გერმანელთა დასახლების 200 წლისა და ლუთერანული ეკლესიის 500 წლის იუბილე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ ნაშრომში აღმოვაჩინე „ჩემი“ ივანე გვარამაძე. ივანე გვარამაძესთან ისტორიულად ბედმა დამაკავშირა. მესიამოვნა, რომ აქ აღმოვაჩინე ზაქარია ჭიჭინაძე. შეიძლება ითქვას, ამ ნაშრომის სახით, ჩემი ერთ-ერთი საღეჭი კურსისთვის დამხმარე სახელმძღვანელო შევიძინე. ქალბატონმა **ნატო**მ დეტალურად მიმოიხილა ნიგნში განხილული ცალკეული

საკითხები. ისაუბრა იმ ისტორიული წყაროების არსებობის თაობაზე, რომლებიც ნიგნის „ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში“ გარკვეულ საკითხებს ეხმიანება.

პროფესორ **ნუგზარ** პაპუაშვილისა და მისი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ დამსწრე საზოგადოებას პროფესორმა **ნესტან** სულავამ მოახსენა.



რებული ნებისმიერი თემა ჩემთან ახლოსაა. აქამდე არსებული ლიტერატურა საქართველოში გერმანული დასახლებების შესახებ თითქმის წაკითხული მაქვს, ხოლო ლუთერანული ეკლესიასთან კი ბატონ პუმელის ხელმძღვანელობის დროს უშუალო კონტაქტიც მქონდა. აქვე ვიტყვი, რომ ამ პიროვნებამ და მისმა მეუღლემ საქართველოში გერმანულ-ქართულ კულტურული ურთიერთობების განვითარებას დიდი ღვაწლი დასდეს. ზოგადად, პროტესტანტიზმისა და კალვინიზმის შესახებ უფრო ღრმადც მომიწია ლიტერატურაში ჩახედვა, როდესაც შვეიცარიელი ავტორის – კონრად ფერდინანდ მაიერის ბალადა-„ტერფები ცეცხლში“ ვთარგმნე. ასე

პრეზენტაცია „გულანზე“



ქალბატონმა **ნესტანმა** ისაუბრა **ნუგზარ** პაპუაშვილის ნაშრომის – „ქართული ანბანის პირველი პუბლიკაცია“ – შესახებ, რომელიც ნიგნის ავტორმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარადგინა. დიდი სიამოვნებაა ამ თემის მოსმენა. მნიშვნელოვანი ფაქტია წარმოდგენილი ბატონი **ნუგზარის** ამ მოხსენებაში. 1608 წელს არის ეს ანბანი დაბეჭდილი და მესხეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისტორიარის, რომ ჯაყელები არიან ამასთან დაკავშირებული. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შრომის შედეგია. ეს მასალა არ ინახებოდა საქართველოს უძველეს საცავებში, ინახებოდა გერმანიაში და ამას მიაკვლია ბატონმა **ნუგზარმა**. – აღნიშნა ქალბატონმა **ნესტანმა**.

მოგესხენებათ, გერმანისტი ვარ და გერმანიასთან დაკავშირ-

რომ, დღეს საპრეზენტაციოდ გამოჩანს ნიგნს დიდი ინტერესით შევხვდი. – აღნიშნა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებული პროფესორმა **ლალი ბერიძემ**. მისი აზრით, საინტერესოა სხვადასხვა გერმანულენოვანი წყაროებიდან დამონებული ისტორიული ცნობები, რომელიც ბატონ **ნუგზარს** ნიგნში აქვს წარმოდგენილი იმდროინდელი საქართველოსა და, კერძოდ, ჩვენი მხარის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლუთერის მიერ მე-16 საუკუნეში თარგმნილი ბიბლიისა

და ამის შემდეგ დაწყებული რეფორმაციის შესახებ იმავე პერიოდში გახდა ცნობილი ეს ფაქტი სამცხე-ჯავახეთის მთავრებისა და მოღვაწეთათვის. ეს მეტყველებს იმაზე, თურა მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ჩვენს წინაპრებს ევროპასთან ურთიერთობა. ვფიქრობ, ეს ნიგნი გახდება ჩვენი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის დამხმარე ბევრ სასწავლო დისციპლინაში. მე, პირადად, ძალიან გამომადგება ისტორიკოსებთან დარგობრივი ენის ლექსიკის დამუშავებისას, რისთვისაც მადლობას გიხდით, ბატონო **ნუგზარ**. – დასძინა ქალბატონმა **ლალი**.

ნიგნის შესახებ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა უნივერსიტეტის დოქტორანტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა **თეა თათენაშვილმა**; აღნიშნა, რომ მისი სადისერტაციო თემის სახელწოდებაა „საქართველოს ეკლესია და თანა-

ამის შესახებ. ასევე, ნიგნში ბევრი საინტერესო მასალა განხილული.

პროფესორმა **როინ ყავრელიშვილმა** ნიგნის შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ ბატონ **ნუგზარს** დამონებული აქვს ევროპელი ავტორების, ელჩების მასალა, სადაც დადასტურებულია აქედან ნასული ათაბაგების მანუქარისა და ყვარყვარეს ლუთერანობთან, ზოგადად, ევროპულ საელჩოებთან ურთიერთობის შესახებ. ქართული წყაროებიდან იყო ცნობილი მხოლოდ მანუქარისა და ყვარყვარეს მოღვაწეობის შესახებ სტამბულში. ნიგნში დამონებულ ლიტერატურაში და წყაროებში მითითებულია თურა ფიქრობდა ყვარყვარე ახალი რელიგიური მიმდინარეობის შესახებ: **დღეს კიდევ მუშავდება არქივები, მაგალითად, ოსმალეთის არქივში აღმოჩენილია ახალი მასალები. ჩემმა კოლეგამ მომანოდა ნიგნი, ეს არის „საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“**. აქ არის დადასტურებული 1579 წელს მანუქარის გამოსვლიდან შემდეგ, რაც არის დადასტურებული ნიგნში გადმოცემულ ევროპულ ლიტერატურაში. ბატონი **ნუგზარის** ნიგნი გამოვადგება ისტორიის კურსში დამატებით ლიტერატურად. ვფიქრობ, რომ შევთავაზოთ ამ თემაზე მუშაობა რამდენიმე სტუდენტს საბაკალავრო დონეზე, შემდეგ, თუ ვინმე დაინტერესდება, სამაგისტრო დონეზეც.

დამსწრე საზოგადოების წინაშე თავად ნიგნის ავტორი წარდგა, პრეზენტაციის დასასრულს. მან მადლობა მოახსენა პროფესორ **მერაბ ბერიძეს**, რექტორს – **მაკა ბერიძეს** ასეთი მაღალი დონის პრეზენტაციის მოწყობისთვის; მადლობა მოახსენა ასოცირებულ პროფესორს – **ნატო ყრუაშვილს** იმ მასალების დასახელებისთვის, რომლებიც მის მიერ დასმულ რამდენიმე კითხვას გასცემს პასუხს, ასევე, პროფესორ **როინ ყავრელიშვილს** იმ დოკუმენტების გაცნობისთვის, რომლებიც მის ნაშრომს ეხმაურება. ისაუბრა იმ კულტურულ შედეგებზე, რაც მოიტანა ქართულ-გერმანულმა ურთიერთობებმა. ის დოკუმენტები, რომლებიც ამ ნიგნშია წარმოდგენილი, ძირითადად, გერმანულენოვანი დოკუმენტებია და ავსებს ქართული წყაროების მონაცემებს. – აღნიშნა ბატონმა **ნუგზარმა**.

დაისვა არაერთი კითხვა, რაზედაც ავტორმა ამომწურავად უპასუხა.

ნიგნი გათვალისწინებულია მკითხველთა წრისთვის, რომელსაც საქართველო-გერმანიის საეკლესიო და კულტურული ურთიერთობები აინტერესებს. მასში თავმოყრილია ისეთი წერილობითი დოკუმენტები, ისტორიული აღწერილობები და ზეპირსიტყვიერი გამოცემები, რომლებსაც ლუთერანული რეფორმაციის საქართველოსა და ქართველ ხალხთან კავშირების შესახებ ნაწილობრივ დიდი მნიშვნელობა აქვთ.



პირველი გვერდიდან


სალამოს არაერთი კურს-დამთავრებული ესწრებოდა. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელით, გული-კო ბექაურმა, მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის, პროფესორ მერაბ ბერიძეს სიგელი გადასცა.

ერთია, როდესაც ადამიანი შრომობ, აკეთებ, იღვნი შენი ქვეყნისთვის, შენი კუთხისთვის, შენი ოჯახისთვის, შენი მეგობრებისთვის, იმ საზოგადოებისთვის, სადაც ხარ, მაგრამ, მეორეა, როდესაც ზუსტად ისე გხედავს საზოგადოება, რასაც აკეთებ, როგორც აკეთებ, შენი ღვაწლით, შენი საქმით. მინდა, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ზუსტად ამ განწყობით, ამ დამოკიდებულებით, ამ ემოციით, გახსნილად გამოვაცხადო და ბატონ მერაბს მივულოცოთ სამოცდაათი წლის იუბილე. – აღნიშნა ქალბატონმა გული-კომ, რომელმაც ბატონი მერაბის მოღვაწეობიდან არაერთი საინტერესო პერიოდი გაიხსენა. – ეს გახლავთ ის სიტუაცია, როდესაც შეიძლება ვისწავლოთ მისგან, ვისწავლოთ იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა გამოცდილებაზეც ამ ადამიანმა, ამ კუთხეში, შრომით, თავდაუზოგავი შრომით დააგროვა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებული პროფესორმა ლალი ბერიძემ დამსწრე საზოგადოებას ბატონი მერაბის დამსახურების შესახებ მოახსენა. აღნიშნა, რომ იუბილარი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ევანგელისტის მედლით, ქართული სულით ფესტივალმა მიანიჭა „დიდი მესხის“ წოდება და დააჯილდოვა ოქროს მედლით; მწერალთა კავშირის მიერ მიენიჭა „ქართული კულტურის რაინდის“ წოდება; 2013 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გადაეცა ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომი; 2016 წელს აირჩიეს ქალაქ ახალციხის საპატიო მოქალაქედ; 2017 წელს გახდა ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი; 2019 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია და გახლავთ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ქალბატონმა ლალიმ, ასევე, დამსწრე საზოგადოებას მოახსენა ბატონი მერაბის მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომებისა და წიგნების შესახებ: ბატონი მერაბი ჯერ კიდევ ტოპონიმის მუშაობის დროს მუშაობდა, როდესაც ჩამოყვანილი ჰყავდა მესხეთის ტერასებზე სამუშაოდ სტუდენტთა ჯგუფი. მახსოვს ის შემართება, რომელიც შთაბერა მას თბილისელ ახალგაზრდებს. მახსენდება ის წლები, როდესაც, ბატონ სერგო მელიქიძესთან და ბატონ მერაბთან ერთად, შემოვიარე ჯავახეთი. სამცხე-ჯავახეთი მაშინ შემოვივარდა. დიდი მადლობა, ბატონო მერაბ, იმისთვის, რომ ვიყავი ადამიანის გვერდში, რომელსაც უნდოდა ჩემი კუთხის, ჩემი მხარის აღშენება.

უნივერსიტეტის მონვეულმა პედაგოგმა, დოქტორმა ნათელა მელიქიძემ, ნაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ონომას-

ტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პაატა ცხადაიას მისალოცი ტექსტი, თავის მხრივ კი შემდეგი განაცხადა: მე თქვენს რიგებში ვდგავარ, როგორც რიგითი მასწავლებელი, პედაგოგი, ონომასტიკაზე შეყვარებული ადამიანი. ამაში უდიდესი წვლილი ბატონ მერაბს მიუძღვის. მე მიყვარს მისი სამეცნიერო ნაშრომები, ველმძღვანელობ ხშირად და მა-



გამოხატული სიყვარული. მე ვნახე ფეხზე დამდგარი ანსამბლები როგორ ულოცავდნენ იუბილეს ბატონ მერაბს... მე ის სტუდენტი ვარ, რომელიც დაჰყვებოდა ახალქალაქში ბატონ მერაბს, მოსამზადებელი ჯგუფები რომ გაგვეხსნა და ჩვენს სომეხ თანამოძმეებთან შუამავალი ენა არ გვექონოდა, რომ ჩვენ ერთ ენაზე გვესაუბრა, რაც დღეს უკვე რეალობაა. მე ის ადამიანიც ვახლავარ, რომელიც მომსწრეა აბსოლუტურად წარმოუდგენელი რეალობის, რასაც უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამების ამოქმედება ჰქვია და ეს ყველაფერი მერაბ ბერიძის სახელს უკავშირდება. რექტორმა აღნიშნა, რომ მერაბ ბერიძის გვერდით მუშაობა ნიშნავს, მიიღო კიდევ ერთი პროფესია. ეს

„იქუშაო შჷგაზ ზჷჩიჷს ზჷგჷრით, უს ნიშნაჷს, შიჷლო ჰიღჷჷ შჷთი ჰჷოჷჷსი“ უნივერსიტეტის სათავეებიდან დღემდე



საზრდოებს ეს ყველაფერი, მიყვარს მისი პოეზია. – აღნიშნა ქალბატონმა ნათელამ და მერაბ ბერიძის ლექსი წაიკითხა.

უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ გაიხსენა ონომასტიკის კონფერენციაზე ჩამოხრძებული ენათმეცნიერთა მხრიდან ბატონი მერაბის იუბილესთან დაკავშირებით ნათქვამი მილოცვები. მე მოვისმინე დიდი მეცნიერის მიმართ იმ ადამიანების ნაზრევი, ვინც დღეს ქმნის საუნივერსიტეტო ცხოვრებას. ამ დღეების განმავლობაში, მე მოვისმინე ბატონი მერაბის მიმართ მუნიციპალიტეტების მხრიდან

პროფესიაა ღირებულებები-სადმი, სიტყვისადმი, სამშობლოსადმი, ოჯახისადმი ერთგულება. ეს პროფესიაა შეილესის მოქალაქეებად აღზრდა, სიკეთის უანგაროდ გაცემა: ბატონო მერაბ, თქვენ ხართ დაუმარცხებელი იმიტომ, რომ საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, არის დაუმარცხებელი, საქართველოს იდეაა, ჩვენი სამშობლოა დაუმარცხებელი, ახალგაზრდების, მომავალი თაობებისადმი სამსახურის იდეა, სწავლა-განათლება ჩვენს ქვეყანაში დაუმარცხებელი. ვიდრე თქვენ ამ იდეებს ემსახურებით, ვიდრე თქვენ ამ იდეებს იტევთ, ვერანაირი ძალები მოგერევინან.



ბატონ მერაბს იუბილე მიულოცა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელმა, ბატონი მერაბის მეუღლემ ნათელა ნაცვლიშვილმა-ბერიძემ: რომ ვუყურებ, ის რაც დღეს ხდება ჩვენს უნივერსიტეტში, ყველაფრად ღირდა. ჩვენ რომ აქ წამოვედით, რაღაცნაირად, ვრისკავდით ჩვენი შეილესის მომავლით. ჩვენმა უნივერსიტეტმა გაიმარჯვა და ის თავის მისიას ასრულებს. ჩვენ ხომ მისიონერები ვიყავით. მინდა ყველას გითხრათ მადლობა ამ ლამაზი სალამოსთვის.


ბატონ მერაბს 70 წლის იუბილე მიულოცეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეულმა პედაგოგმა ნელი ღონღაძემ, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა მარინე ზედელაშვილმა, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ბუცხრიკიძემ, ხარისხის მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა თეა თათენაშვილმა, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიე-

რებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაია ქუქჩიშვილმა. საინტერესო და თბილი სიტყვებით აღსავსე გახლდათ კურს-დამთავრებულების – ნაზიკ ექნოსიანისა და ჯულიეტა ელბაქიანის, ისტორიის სპეციალისტის მეოთხე კურსის სტუდენტის დათუნა ჩადუნელის გამოსვლები.

შეხვედრის დასასრულს, დამსწრე საზოგადოების წინაშე თავად ბატონი მერაბი წარსდგა. პროფესორმა ვრცლად ისაუბრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უნივერსიტეტის გახსნის წინაპირობაზე და მისი განვითარების გზაზე. აღნიშნა, რომ იმ დროს გახსნილი რვა ფილიალიდან დროს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაუძლო. ისაუბრა ასპინძაში მესხური ტერასების აღდგენით სამუშაოებზე თბილისიდან ჩამოსულ ჯგუფზე და ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე. გაიხსენა, 90-იან წლებში ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილი სტატია, თუ როგორ ხელდავდა სამცხე-ჯავახეთის მომავალს. კითხვაზე – არსებობს საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და ვერ გააკეთა, ასე უპასუხა: ალწერილი მაქვს სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფელი დეტალურად. 1970 წლიდან ასპინძის რაიონის შესწავლა დავიწყე, ხოლო 1973 წლიდან, სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე ვმუშაობ. მაქვს მთლიანად ალწერილი მთიანი აჭარა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე სისტემატიზაცია ამ ყველაფრის და წიგნად გამოცემა. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გაკეთდეს.

ვუსურვებთ წარმატებებს და ყველა ჩანაფიქრის შესრულებას პროფესორ მერაბ ბერიძეს!

ლია ზაზაშვილი





მეხსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე დარბაზში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და ორგანიზებით, ელენე დიდიმამიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო მოენწყო. ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების, ქალაქის საზოგადოებისა და საგანმანათლებლო წრეების წარმომადგენლები, პოეტის მეგობრები და ოჯახის წევრები. ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციით, წარმოდგენილი იყო პოეტის შემოქმედება, შესრულდა მის ლექსებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები; საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ მისი ახლობლები, ადამიანები, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ პოეტთან. ღონისძიებაზე მოხდა წარდგინება მისი რჩეული ლექსების კრებულის – **„სუნთქვა პოეტის“**, რომელიც პოეტმა სიცოცხლეშივე მოამზადა. წიგნის რედაქტორი გახლავთ ასოცირებული პროფესორი **ნათო ყრუაშვილი**. კრებულში, ასევე, შევიდა პოეტის სიცოცხლის ბოლო წლების შემოქმედებაც. წიგნი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით გამოიცა. შემოგთავაზებთ რედაქტორის წინასიტყვაობას შემოკლებული სახით და რამდენიმე ლექსს კრებულიდან.

ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ელენე დიდიმამიშვილი ერთ-ერთი იმთავანია, ვინც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოიპოვა მკითხველის ყურადღება, ვინც საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარე-

მოხილი. სიცოცხლეშივე წილად ხვდა დიდი აღიარება; მის ლექსებს ხალხი იმთავითვე სწავლობდა და მღეროდა. ქალბატონმა ელენე დიდიმამიშვილმა ლექსების თერთ-

ბული – **„სუნთქვა პოეტის“**. წინამდებარე კრებულის გამოცემა უკავშირდება პოეტის დაბადებიდან ასი წლის იუბილეს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი არის, ასევე, ავტორი შესანიშნავი ნოველებისა, რაც 2011 წელს ცალკე კრებულად გამოიცა სახელწოდებით **„გზავრცელი“**. 2017 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან ოცი წლისთავის აღსანიშნავად, მომზადდა და გამოიცა პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი მონოგრაფია.

ელენე დიდიმამიშვილი 1919 წლის 15 აპრილს ქალაქ ახალციხეში – რაბათში (ქალაქის ძველ ნაწილში), დაიბადა ცნობილი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია დიდიმამიშვილის ოჯახში. სწავლობდა ქალაქ ახალციხის №1 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, დროებით მსახურობდა ქალაქის ბიბლიოთეკაში, იყო დანყებითი სკოლის მასწავლებელიც. წარჩინებით დაამთავრა თბილისის

ლაქ თბილისში. იქ, იმთავითვე, დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება, მონაწილეობდა თბილისის ლიტერატურულ წრეებში, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, რადიოკომიტეტში, მწერალთა კავშირში. იმავდროულად იყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალური და ფოლკლორის სექციების წევრი. სწორედ თბილისში გადასვლის შემდეგ დაიწყო მისი აქტიური პოეტური შემოქმედება.

ელენე დიდიმამიშვილს, თბილისში გადასვლისთანავე, მოუხდა იმ დროის ისეთ ცნობილ ადამიანებთან და პოეტებთან თანამშრომლობა და ურთიერთობა როგორებიც იყვნენ: იოსებ იმედაშვილი და ნინო ნაკაშიძე, შემდგომ კი გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, მარიჯანი და სხვები. მის პირად არქივში, ასევე, ინახება საინტერესო მოგონებები XX საუკუნის ბევრ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეზე. ესენი არიან:

თაველის შესახებ შეკრიბა სახალხო მთქმელებისა და პოეტების ლექსები და ცალკე კრებულად გამოსცა. იგი, წლების განმავლობაში, იყო ხალხური შემოქმედების მუსიკალური სექციის წევრი და მრავალ მუსიკალურ გამოცემათა ლიტერატურული რედაქტორი. ელენე დიდიმამიშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაში მთავარი იყო მისი ადგილი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. მისი გულში ჩამწვდომი ლექსები იმთავითვე იქცა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების მუხად. მის ლექსებზე შეიქმნა შესანიშნავი მუსიკა. როგორც პოეტს, ქართველმა საზოგადოებამ სიცოცხლეშივე მიაგო მას პატივი. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო. პოეტი სიცოცხლის ბოლო წლებში მშობლიურ ქალაქში ცხოვრობდა... იგი, ძირითადად, მოგონებებზე მუშაობდა. მისი მოგონებები და ჩანაწერები (ილიაზე, აკაკიზე, ივანე კერესელიძეზე და ა.შ.) მნიშვნელოვანი წყარო-მასალაა ლიტერატორებისა და კრიტიკოსებისათვის, ასევე XIX-XX საუკუნეების ლორსეული მამულიშვილების მონოგრაფიების სრულყოფისათვის.

გარდაიცვალა 1997 წლის 23 მარტს. სამუდამო განსასვენებელი მშობლების გვერდით, რაბათის სასაფლაოზე ჰპოვა...

ელენე დიდიმამიშვილის გარდაცვალების შემდეგ არ შენელებულა მისადმი საზოგადოების ყურადღება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქალაქ ახალციხის მერის – შოთა ასყიდაშვილის სპეციალური ბრძანების საფუძველზე (2001 წლის 19 აპრილი) შესდგა კომისია, რომელმაც აღწერა და დაამუშავა ქალაქ ახალციხის ბიბლიოთეკაში დროებით არსებული პოეტის ფონდ-არქივი. ძირითადი ნაწილი გადაეცა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმს. ამასთანავე, მუზეუმის დირექციის წინადადებით და ქალაქ ახალციხის გამგეობის ხელშეწყობით 2000 წლის გაზაფხულზე ელენე და ზაქარია დიდიმამიშვილების სახლის ფასადზე დამაგრდა მემორიალური დაფა. პოეტის მემკვიდრის შაქრო დიდიმამიშვილის მეცენატობით გამოიცა კრებული **„გადასახედი“**, რითაც საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა პოეტის ბოლო წლების შემოქმედებას.

ქალბატონ ელენეს პოეზიისა და პროზის ძირითადი თემა სიყვარულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი შემოქმედება უკვდავია, უკვდავია თვითონ პოეტიც.

დიდი ელენე



გიორგი სალარიძე, ხუტა ბერულავა, სანდრო მირიანაშვილი, ვალერიან მალრაძე, ნუნუ გაბუნია, მიხეილ ჩირინაშვილი, რევაზ გაბიჩავაძე და სხვანი.

თბილისში ქალბატონი ელენე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1966 წელს შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესათვის, მესხეთის ხაზით, არჩეული იყო საიუბილეო კომისიის მდივანად. შოთა რუსთაველის შესახებ გამოაქვეყნა საინტერესო წერილები: **„ვწერ ვინმე მესხი მერდილოში“** და სხვა. მას ეკუთვნის, აგრეთვე, ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია – **„შოთა რუსთაველი“**, რომელიც დაიდგა სახალხო თეატრებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონმა ელენემ, საქართველოს მასშტაბით, რუს-

მეტი კრებული გამოსცა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, 2007 წელს, გამოიცა კიდევ ერთი კრებული **„გადასახედი“**, რომელშიც ძირითადად ქალბატონ ელენეს ბოლო წლების პოეზია შევიდა. მან სიცოცხლეშივე მოამზადა თავისი ლექსების რჩეული კრე-

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს, მშობლიურ ქალაქში მუშაობდა რაიონული გაზეთის რედაქციაში, პასუხისმგებელ მდივანად, ასწავლიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ენასა და ლიტერატურას, რამდენიმე თვის განმავლობაში იყო ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი. მუშაობდა მესხეთის თეატრშიც მოკარნახედ. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ სკოლაში, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკურ ტექნიკუმებში. 1942-1946 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ატარებდა ლექციებს, ბეჭდავდა წერილებს ქალაქის თეატრის ცხოვრებაზე და ასე შემდეგ.

1946 წლის დეკემბერში, საცხოვრებლად გადავიდა ქა-



„ბაღის ქუჩა, ნომერი 13“...

ისევ ის მყუდრო, პატარა გზა... ხეებზე დილის ნიავი თრთის... ხან ნისლი და ხან თაკარა ცა... მე ისევ ბავშვურ სიამეს მგვრის... ამ გზაზე ყველგან დედის ხმას ვგრძნობ, მე ვხედავ დედის თვალების ფერს... აქ ფიქრი ისევ წამიყვანს შორს და სულში უტკბეს სიმღერად ჟღერს... გოგონა ერთი შესტრფოდა დარს, ჰქონდა დარდიც და მაისის ცაც, მოვედი, ვუხმობ დედას და მ ა ს ... ვაგლახ... ნასულან... არ ვიცი სად... დავეძებ იმ სახლს, ნათელს რომ მფენს, მე ვუხმობ სახლის მისამართს, ძველს: - გამიღე კარი! რომელი ხარ!.. მსურს „ბაღის ქუჩა, ნომერი 13“ ...

წლების გარდასახვა

როცა გინამე - მზე პირველად ახელდა თვალებს... როცა გინამე - თვალში დღისებრ ბრწყინავდა ღამე... როცა გინამე - როს ვედავ ატეხილ ქარებს, დავენებდი დუმილს... ...მზე მშვენიერი, უფრო ვრცელი, უფრო ძლიერი, კვლავ ახელს თვალებს, - როგორც ოდეს, როცა გინამე... გვეროდეს ცხადად, არა ოცნებით (როგორც ფოთლები მეორდებიან) კვლავ ვმეორდებით...

* * *

შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი ჩემთან, როს შემოდგომის იდგა მიმწუხრი, უსმენდი ავდრით მოვლენილ დღეთა, უსმენდი ჩუმად იმ ქარს, იმ წუხილს... როს ქარიშხალმა ქმენით და რისხვით დალენა ნაზი რტოები ხეთა და როცა ბალი შეღება ნისლით - შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი ჩემთან... რაღაც შორეულ საყვედურმა შეგიპყრო ჩუმად... გაოცებული გიმზერდი მდუმარს... შემოდგომა ზამთარი სუსხით... მკაცრი და ვრცელი...

როს არვის უცდი... როს არვის ელი... შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი ჩემთან.

* * *

შენ ისე შორს ხარ, ძახილი ჩემი ვერ აღწევს შენთან... წინ ვერ დაგხვდება ჩემეულ დღეთა სიმღერა მწველი... მე მესმის შენი ნაბიჯიც, სუნთქვაც... ჩამქრალი გული, სიმრავლე წელთა... მე ვხედავ თვალებს, ბობოქარ სულთან, სიამეთ ჩემთა... გიხმობ გადამქრალს (და მაინც მზისფერს)...

მათროლებს სიზმრის ობოლი კვნესა... მე გიხმობ ძლიერს, მე გიხმობ ისეთს, როგორიც იყავ, როგორიც დღეს ხარ... ქარი-ავქარი სუსხავს ია-ვარდს, და ისევ ფიქრთან ვრჩები მოღლილი... ... მთების უსაზღვრო ლოდინს მიაგავს - ჩემი ლოდინი.

* * *

ისე ხანმოკლეა სტუმრობა ჩვენი - მაცდურ მინაზე, დრო გვერეკება, დრო წინ გვიტაცებს... უნდა მოასწრო დიდ შარაზე ბევრი თუ ვერა - სულ უმცირესი პატრუქი მაინც დატოვო წრფელად, - რომ მომავალმა მოყვასმა შენმა შენიშნოს იგი, და მიუჩინოს ადგილი რიდით... ისე ხანმოკლეა სტუმრობა ჩვენი მაცდურ მინაზე...

* * *

შენ ისე შორს ხარ, ძახილი ჩემი ვერ აღწევს შენთან... წინ ვერ დაგხვდება ჩემეულ დღეთა სიმღერა მწველი... მე მესმის შენი ნაბიჯიც, სუნთქვაც... ჩამქრალი გული, სიმრავლე წელთა...

მე ვხედავ თვალებს, ბობოქარ სულთან, სიამეთ ჩემთა... გიხმობ გადამქრალს (და მაინც მზისფერს)... მათროლებს სიზმრის ობოლი კვნესა... მე გიხმობ ძლიერს, მე გიხმობ ისეთს, როგორიც იყავ... როგორიც დღეს ხარ... ქარი-ავქარი სუსხავს ია-ვარდს, და ისევ ფიქრთან ვრჩები მოღლილი... ... მთების უსაზღვრო ლოდინს მიაგავს - ჩემი ლოდინი...

* * *

შემოდგომაზე მე მინატრია ქარვისფერ დღეთა მყუდრო ფერებით, ცისფერი ზეცა - ჩემი ნათლია, და განაბული ოქროს ველები... იქ, სადაც ფოთოლს ვერ არხევს სიო და სთვლემს ლილილო ლურჯი თვალებით... სად ჩემი მთების ზურმუხტს თუ ხრიოქს ჰფარავს სირუმე იდუმალების... თუ შემოდგომის მწვავდა გრივალი, მსუსხავდა თქეში ქარიშხლიანი, - ოცნება მუდამ მქონდა მდიდარი და გულში შენით დარი მზიანი... მე იმ ლაჟვარდის თან მდევს ზმანება - მყუდრო ფერებით... და ბრწყინვალეობა ოქროს ველების...

* * *

მიხილ თამარაშვილის წიგნზე მინანერი

ვით აზიდე ტვირთი ასე მძიმე, გარს აფრქვევდი ნუგეშსა და იმედს, მოუღლე ვით რაინდი ლალი, იდექ მარად, ზეცის მაღალ თალით... გახსოვს, შენი სანმარინოს წყლები, უანგარო, დიდი შრომის წლები... შენი გარჯის მტკაველი თუ ადლი ეძიებდა მარად წმინდა ადგილს... დედამინით მიმოჰფინე ჰანგი - საქართველოს დიდების და მადლის! ... მაინც ახდა დიდი ნატვრა ერის - მოგვეახლა ისევ ერის ხელით, მოსვლა შენი, ზარ-ზეიმად იქცა - გულს ჩავიკრა საქართველოს მიწამ!

* * *

ადრეულ ფერთა მიმატოვეს ზამთრის ბურუსით, ო, ჩემ სულიერ სიმარტოვეს არა აქვს ზღვარი... გაყინულ მთვარეს აღარ ძალუძს შუქი გულუხვი, ნელა შემოდის სირუმე ღამის... გადამხმარ ხეებს თეთრი ქურქი ჩაუცვამთ ჩუმად... და მთებიც სდუმან... ადრეულ ფერთა მიმატოვეს ზამთრის ბურუსით...

* * *

მე უფრო მიყვარს შენი ზეცა, შენი სერები, კვლავ რიდით ვუმზერ სიდიადეს უმადლეს მათათა... მოღლილი გზებით შენს ალგებქვემ შევისვენებდი, დავითენებდი განთიადს მათთან. მე ისევ ვუხმობ შენს ლილილოს, უკვდავას, სოსანს, ჩემგან უწყალოდ მიტოვებულთ, დაღვრემით მზირალთ, სადაც ტალღებიც მდინარეთა უძრავად მოსჩანს და აკაცებს მოწყენით სძინავთ... მე უფრო მატკობს შენი დარი, შენი ღრუბელიც... სურვილით შენით, შენს ავდარსაც შევირიგებდი... დასაბამიდან დამყვა სული, მარად ურღვევი და ასე მფერულავს სიყვარული შენი დიდების...

* * *

ჩემი ცხოვრების რედაქტორი ყოველდღიურად ბეჭდავს ჩემს გაზეთს და თითქოს ამცნობს კიდი-კიდე, შორეთს მიუვალს - რა ურვაც ვზიდე, რაც გულზე მანევს...

ელენე ფიფიაშვილი



* * *

დაბეჭდილია მცირე ლიმი, ობოლი სიყრმის... და ფერშეცვლილი ლაჟვარდების გაელვარება... დაბეჭდილია მოვარდნილი გრივალის რისხვით ჩემი წვალეა... ჩემი ცხოვრების რედაქტორი ბეჭდავს ჩემს სუნთქვას - ხშირად მწუხარებს, დაუდგრომელს, მზიან-ჩრდილიანს... (მას საქმე თვისი ხიბლავს და უყვარს, - და მის ხმას სულში სხვა მზის სხივი აქვს). ჩემი ცხოვრების რედაქტორი მკაცრია ძლიერ, ვუმზერ დაღლილი, მსურს მაკმაროს უღელი მძიმე... ნუ შემეძვირებს ღიმილს და იმედს, დე, სიხარულიც დაბეჭდოს მცირე... ო, მონყალეო ხელმწიფეო, მოიღე მადლი, - ნუ შეამოკლებ სიცოცხლეს ჩემსას... გაიღე სრულად, გვედრი, ვით ბავშვი - მე შენს გარეშე ნაფოვი ვარ - მღელვარე ზღვაში... ჩემი ცხოვრების რედაქტორი მკაცრია ძლიერ... და მაინც ... მაინც, მიგზავნის იმედს...

* * *

მე ვიგონებდი ადრეულ დღეთა ცისფერ ყვავილებს, სათუთგულიანს, მე შენს თვალებში ვხედავდი ზეცას, შენ კი ამბობდი - პოეტურია... ვერ დავიოკე ჩემი ტკივილი, - ვთქვი - მარად შენი მზერა მწყურია. შენ გაიღიმე ჩვეულ ღიმილით და ისევ მითხარ - პოეტურია!

* * *

აქ ყოველივე ისევ ისეა თეთრი ღრუბელი ელავს ვერცხლივით... ისევ მთებია, ისევ სივრცეა... მე ვარ შეცვლილი... მე ვარ შეცვლილი... კვლავ მისცემია მიდამო დუმილს - და წელიწადებს ითვლიან ისევ... ყოველი კენჭი, თუ მყუდრო გზები ნაირფერ ფიქრით ივსება ისევ... იდუმალ გზებით! აქ ყოველივე ისეა ისევ... თეთრი ღრუბლები ელავს ვერცხლივით, იგივე მთებია, იგივე სივრცეა... მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ შეცვლილი...

* * *

გახსოვარ... მე სხვა რა მინდოდა უმეტეს ამის... გახსოვარ... - ეს ხომ სიმღერაა უვნებელ ღამის, - რომ დამაძინოს უშფოთველი, მსუბუქი ძილით, რომ ამ სიზმარმა უტკბილესი მაჩუქოს ღიმი... გახსოვარ... განა გული ისევ ცახცახებს რიდით? ახლა შუადღის მზით დამცხრალი მშვიდია იგი. უფრო ნაზია, ვიდრე ფეთქვა ადრეულ დღეთა, და უფრო ღრმაა სიყვარული უნაზეს ფერთა... გახსოვარ... მე სხვა რა მინდოდა, უმეტეს ამის...

* * *

მოვდივარ შენთან... სურვილი ჩემი, წმინდაა ისე, ვით სუნთქვა დილის... შენ ჩემთვის ისევ მარადი რჩები და საგზლად მომაქვს სიცოცხლის სხივი... თუ თვალმა ისევ მზისებრ იელვა (ოდესლაც შენთვის ცრემლებს რომ ღვრიდა), შენ აღმადგინე ისე ძლიერად, რომ მე ათასი სიცოცხლე მინდა!.. მოვდივარ შენთან სურვილით ჩემით და ჩემთვის ისევ მარადი რჩები...

მე მქონდა რთული სიყვარული განუზომელი... და მისი უცხო სიდიადე, უღვეველ ფერთა... მქონდა ტკივილი ჩუმი, წრფელი, დაუცხრომელი. ამირჩევია გმირი ჩემი უძლეველ კერპად... ... მან არ იცოდა, გული ჩემი გრძნობის თარეშით მიმაქროლებდა ბედი მწველი მიუყვალ გზებით... არ მიცხოვრია ერთი ნუთიც, მწველი ოცნების, ტრფობის გარეშე, - ისე გავლიე ლოდინი წლების. არ მითხოვია არცა ხსნა და არცა შველა, რაც არის წერა - იგია ბოლო... და ვიტყვი მაინც - სიყვარული არ ძალუძს ყველას, სიყვარული ნიჭია მხოლოდ...

* * *

მე მივატოვე ხეივნები და პროსპექტები... მე მივატოვე მოედნები, სასახლეები, არა უეცარ გაფიქრებით, არა შემთხვევით... გავეყვი შარას სიძნელეთა ათასფერებით... მოღლილი მუხლით მივაშურე სიყრმის ნაკვალევს, არ შემხვედრია ჩემი ზეცა გაბრწყინვალებით... ნიავის ნაცვლად შმაგი ქარი სუსხით კანკალებს, სთვლემენ ჩიტები... მოღლილია მათი თვალები... ღია კარებში გაშლილ ხელით არ დამხვდა დედა და არ მამხნევეს იმედებით მამის ზმანება... მე ახლა მხოლოდ მათ მდუმარე საფლავებს ვხედავ... მაოცებს მათი იდუმალი გასიზმარება... მზისფერ ყვავილებს მიუპყრიათ მზისკენ ფოთლები (მათი ცრემლები ამ ქვის ლოდებს ემახსოვრებათ) დგანან ბორცვები, მარადიულ ცისფერ ოცნებით... დრო ჩუმად მიდის და ხმაურობს მხოლოდ ცხოვრება...

* * *

შენი ბარათი, ფრთხილი და სათუთი, სანერ მაგიდაზე დევს, შენი ბარათი, თბილი და სათუთი, კაშკაშებს, ვითა მზე. შიგ მზისფერ ფოთოლს და უკვდავას მცირეს გაუხარიათ კვლავ... მე ვუმზერ ისე, ვით შორეულ იმედს, ვისმენ შორეულ ხმას; მე ვისმენ ზღაპარს, ოდესლაც მოყოლილს, ვხედავ რიყრაჟის ფერს... რაღაცას ჩურჩულებს მზისფერი ფოთოლი, რაღაც საოცრად ჟღერს. ხომ არ მოუხმობს, იმ წლების მიღმით, იმავ მთასა და ბარს?! ხომ არ დაღალა გოგონა ძებნამ, ხომ არ გასტეხა გზამ?! ხომ არ იგულა შორეულ მძევლად? რისთვის აცრემლდა ცა?!.. გოგონა, უკვე ჭალარა, დაღლილი, სწვდება სათვალეს და... იმ მზიან-ჩრდილიან ფიქრებად დაღვრილი - მზის ფოთოლს დაჰყურებს კვლავ.

საჯარო ღია უნივერსიტეტი უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე

ადგიანის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლას, საჯარო ლექციის წაკითხვის მიზნით, 25 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მკა ბერიძე ესტუმრა. რექტორი მოსწავლეების წინაშე წარსდგა თემით „ბილინგვიზმი.“ ქალბატონმა მკამ, ასევე, ისაუბრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და იმ სიკეთის შესახებ, რასაც აბიტურიენტებსა თუ სტუდენტებს რეგიონში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო კერა სთავაზობს. განსაკუთრებით გაესვა ხაზი უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის – „ვეტერინარიის“ არსებობას. მან სოფელ არლის სკოლის მნიშვნელობაზე, ღირსებებსა და მის ასწლოვან ისტორიას მიაპყრო მონაწილეების ყურადღება: **საქართველოს ნებისმიერ სკოლაში მიხარია მისვლა, მაგრამ აქ განსაკუთრებულად, რადგან ჩემს მშობლიურ სოფელში ვარ. ამ სკოლას ჰქონდა თავისი სერიოზული ტრადიციები. ამ სკოლას და მის მასწავლებლებს სახელობდა იცნობდნენ თბილისის უნივერსიტეტში. მინდა მოგილოცოთ სკოლის ახალ შენობაში სწავლა.**



ქალბატონი მკა მოსწავლეებს მოუყვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცდაათწლიანი ისტორიაზე, მისი დაარსების ურთულეს დროზე; იმის შესახებ, რომ ყოველ კვირას, ლექციების წასაკითხად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მიკროავტობუსით ჩამოდირიდნენ ლექტორები. ასე გრძელდება 30 წელია. თბილისიდან მოდიან ლექტორები იმისთვის, რომ აქ ლექციები ჩაატარონ. **30 წლის წინ ეს უნივერსიტეტი რომ არ ყოფილიყო, მე ვერ მივიღებდი განათლებას. თვითონ დავამთავრე ეს უნივერსიტეტი და ახლა რექტორის პოზიციიდან მიწვევს საუბარი. მთავარი 30**

წლის განმავლობაში ის იყო, რომ ჩვენ ადგილობრივ კადრებს ვამზადებდით, ჩვენი რეგიონის პროფესორებს. ვეტერინარიის პროგრამის შესახებ რექტორმა განაცხადა, რომ ახალი 300 კრედიტიანი პროგრამა ხუთწლიანია. ამ პროგრამაზე ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტი. მერე, სრულიად უფასოდ, ეუფლება განათლებას და ხდება მაგისტრი. ვინაიდან ამ სპეციალობის სპეციალისტები არ ჰყავს უნივერსიტეტს, არის შანსი, თავად სტუდენტები მომავალში გახდნენ ლექტორები. სპეციალობა არის დასაქმებადი. ეს ის სპეციალობაა, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან საზღვარგარეთ. პროგრამაზე ბარდება – ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, მესამე საგნად – მათემატიკა ან ისტორია. რექტორმა დეტალურად ისაუბრა ბილინგვიზმზე, ორენოვანი განათლების მნიშვნელობაზე და ზოგადად, ენების შესწავლის მნიშვნელობაზე. მის მიერ დასმულ კითხვაზე – არის თუ არა კარგი, ადამიანი იცოდეს ორი ენა, მოსწავლეებმა იმსჯელეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

ქალბატონმა მკამ მეცნიერულად ახსნა, თუ რა ხდება ლინგვისტურად ორი ენის შესწავლის დროს, ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ საფრთხეებზე, რომელიც შეიძლება ახლდეს ენების არასწორად შესწავლის პროცესს. რექტორმა მოსწავლეებს სხვადასხვა ლინგვისტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ მოახსენა. საჯარო ლექციის დასასრულს, ქალბატონმა მკამ აღნიშნა, რომ ენების შესწავლა მნიშვნელოვანი და აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის.

უნივერსიტეტის რექტორმა სოფელ არლის სკოლის დირექტორს, ქალბატონ მარო ჩხიტუნიძეს უნივერსიტეტის ლოგოიანი სამახსოვრო საჩუქარი გადასცა, მოსწავლეებს კი უნივერსიტეტის შესახებ მომზადებული ფლაერები დაურიგდათ.

საჯარო ლექციამ მოსწავლეთა მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. მსგავს თემაზე კვლავ დაიგეგმა სოფელ არლის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა. ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

საჯარო ლექციამ მოსწავლეთა მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. მსგავს თემაზე კვლავ დაიგეგმა სოფელ არლის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა. ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

საჯარო ლექციამ მოსწავლეთა მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. მსგავს თემაზე კვლავ დაიგეგმა სოფელ არლის სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა. ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.



წარმატებული პროექტების გზაჯვარედინი „SKYE კლუბი“ და „ახალგაზრდა მენარმეთა სკოლა“

ბასული წლის 14 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალციხის SKYE კლუბის ფუნქციონირება დაიწყო. ამ დღეს ლიდერები შეხვედნენ კლუბის წევრებს, გაიცნეს ერთმანეთი და სამომავლო საქმიანობის შესახებ ისაუბრეს. SKYE კლუბის მიერ არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და ჩატარდა.

ახალი სასწავლო სემესტრიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, SKYE კლუბმა კვლავ გააგრძელა მუშაობა. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი უნივერსიტეტის სტუდენტებისგან და World Vision საქართველოს პროექტის „კომპეტენციები და საქმეები“-ს ფარგლებში, SKYE კლუბის ლიდერების გადამზადება დაიწყო. ერთკვირიანი საგანმანათლებლო სწავლება რუსთავის საერთაშორისო სკაუტურ ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მარიამ გოგოლაძე და ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თაქო თუმანიშვილი. SKYE კლუბის ლიდერთა ტრენინგზე, სპეციალური სტუმრის სტატუსით, მინვეული იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი როინ თათეშვილი. მან ახალგაზრდებს საუნივერსიტეტო სფეროში არსებული სიახლეები და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული SKYE კლუბის მიღწევები გააცნო, ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მსგავს აქტივობებს ყოველთვის დაუჭერს მხარს.

ცოდნის მიწოდებით, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებით და უნარ-ჩვევების განვითარებით. ძალიან საინტერესოდ ჩაიარა ქალაქ რუსთავში ჩატარებული SKYE კლუბისთვის შერჩეულ ლიდერთა მოსამზადებელმა ტრენინგებმა, სადაც პირადად გახლდით ჩართული და ჩვენი უნივერსიტეტიდან წარმოადგენილი იყვნენ SKYE კლუბის ლიდერული ლიდერები. – აღნიშნა ბატონმა როინმა.

SKYE კლუბმა მუშაობა აქტიურად დაიწყო. „შენი სამა-

ნებით და გასართობ ღონისძიებებში. რაც შეეხება პროექტს YES-Georgia-ს ფარგლებში „კრისტალის“ ახალგაზრდა მენარმეთა სკოლას“, გასულ სემესტრში დაიწყო ფუნქციონირება და ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, მენარმეთა უნარ-ჩვევები შეეძინათ, დაენერათ პროექტები და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მოეპოვებინათ აღნიშნული პროექტების დაფინანსება. „კრისტალის“ ახალგაზრდა მენარმეთა



გიდო თამაში“ – ასე ჰქვია პროექტს, რომლის შესახებ პრეზენტაცია, 9 ოქტომბერს, ახალგაზრდულმა კლუბმა SKYE New Possibility, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა. შეხვედრას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მკა ბერიძე და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი როინ თათეშვილი ესწრებოდნენ. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა შემეცნებით და გასართობ აქტივობებში. როგორც ბატონმა როინმა განგვიმარტა, SKYE New Possibility პროექტის ფარგლებში, ოქტომბრის თვეში, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე, ჩატარდა ერთ-ერთი აქტივობა „შენი სამაგიდო თამაში“, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას იღებდა 70-ზე მეტი ახალგაზრდა. ღონისძიების მიზანი იყო 14-29 წლის ახალგაზრდების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის გაზრდა შემეც-

სკოლამ“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ნაყოფიერი სემესტრი ჩატარა და კვლავ გამოაცხადა მიღება. **„ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის“ მესამე ეტაპის მონაწილეებთან აქტიურად ვატარებთ შეხვედრებს მენარმეთის უნარჩვევებისა და პროექტის სწორად დაგეგმვა/ფორმირების კუთხით. პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, ჩართულნი არიან რეგიონის ახალგაზრდებიც. გვყავს წინა ეტაპის გამარჯვებულიც, რომელმაც მიიღო დაფინანსება და წარმატებით ახორციელებს საქმიანობას სოფლის მეურნეობის მიმართულებით. – გვითხრა „ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის“ მენატორმა, პროფესორმა როინ თათეშვილმა. იგი მნიშვნელოვნად მიიწინეს ფორმალური და არაფორმალური განათლების ერთობლიობით ახალგაზრდების აქტიურ და რეალურად მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, რაშიც, მისი აზრით, ახალგაზრდებს მსგავსი პროექტები ეხმარება.**

გვერდი მოამზადა ლიპა ზაზაშვილმა

SKYE New Possibility პროექტების განხორციელებაში ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული. პროექტის მიზანია, უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებითა და ერთობლივი ძალისხმევით, ამაღლდეს ახალგაზრდებში ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება შესაბამისი

- დილა...

- ვცდილობ, დილას ადრე ავ- დგე და მოვასწრო ყველაფერი. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მაქვს საკუთარი თავის მიმართ, ყოველ დილას ვცდილობ, არა- ფერი გამომჩრჩეს, არაფერი შე- მუშალოს და ამისათვის ვემზა- დები, კონტროლზე ვაბარებ ყველაფერს. სახლში იმდენად დედალი მივძვარ, ღამით მხოლოდ ჩანთას ვამზადებ. სხვა ვერაფრის ორგანიზებას ვახერ- ხებ. აუცილებლად უნდა მქონ- დეს თან ჩემი ნაძლები...

- ბავშვობა...

- იმდენად კარგი და ლალი იყო, რომ ეს უფრო მირთულეს დღევანდელ ცხოვრებას. დღე- ვანდელ ბავშვებს ვუყურებ და შეცოდების განცდა მუფუღება, რადგან ბევრ ბავშვს უნევსძი- მე ფიზიკური შრომა იმისთვის, რომ ელემენტარული მოთხოვნა დაიკმაყოფილოს. ბევრი ასეთი შემთხვევა ვიცი. ადრე ასე არ ხდებოდა. ეს ძალიან მანუხებს.

საოცარი ბავშვობა მქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ვიყავი ძა- ლიან აქტიური მოსწავლე. ვიზრ- დებოდი თბილ, სიყვარულით სავსე გარემოში; ვფლობდი რამ- დენიმე ინსტრუმენტს; ჩემ და- ძმებთან ერთად ხშირად გამოვ- დიოდი კონცერტებზე. ყველა სა- განს ვსწავლობდი ძალიან კარ- გად, მყავდა უმალესი ნიშნები, ვიყავი ჩართული პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ვერ ვიტყვი, რომ ამ ნლებმა და გამოცდილებამ უკვალოდ ჩაია- რა. სხვადასხვა შეხვედრებს ვუ- ნევი ორგანიზებას. მასხოვს, ნითელწყაროდან ასპინძამი გვესტუმრენ ქალთა საბჭოს წევრი ქალბატონები, რაიკომის მდივანმა მათი მასპინძლობა მე დამავალა. ძალიან გამიხარდა...

- საქმისადმი ასეთი ერთგუ- ლება თქვენი გულწრფელი სურ- ვილი იყო თუ ეს მხოლოდ ხდე- ბობა ოჯახის, და-ძმის, ახლობ- ლის გასახარებლად?

- ეს იყო ჩემი ბუნებრივი მოთხოვნილება, რადგან მე კარ- გად სწორედ მაშინ ვიყავი. ჩემი მოსწავლეობისას სკოლაში იყო- კედლის გაზეთი, სადაც სტატი- ებსაც მე ვწერდი და თავადვე ვა- ფორმებდი. მაგალითად, ერთ გა- ზეთში თუ ხუთ სტატიას სხვა- დასხვა ადამიანის აზროვნებით ვწერდი და სხვების სახელ-გვარს ვანერდი, ვხვდებოდი, რომ არ შეიძლებოდა, ყველას ავტორი მე ვყოფილიყავი. შეიძლება, ამით ჩემი კლასელებისთვის ცუდსაც კი ვაკეთებდი, მაგრამ ამან პირა- დად ძალიან განმავითარა.

- იქნებ თქვენი ასეთი ქცევა იმიტომ იყო განპირობებული, რომ

„ადამიანი ადამიანისთვის არის ძალა და სიცოცხლე“

ვრცლად ნათქვამი ბლიც-ინტერვიუ



სხვას ვერ ენდობოდი და გერ- ჩინათ, ყველას ნაცვლად თავად შეგესრულებინათ დავალება, სამაგიეროდ გცოდნოდათ - აუ- ცილებლად შესრულებოდა...

- შეიძლება. თუმცა, არასო- დეს ამილია საკუთარ თავზე ისეთი რამ, რამაც ოდნავ კითხ- ვის ნიშანი მექნებოდა. ბევრ რა- მეზე მითქვამს ამის გამო უარი. მე არ ვარ კომფორტული ადამი- ანი, მაგრამ ზოგჯერ მიწევს, ვი- ყო. მე ვეკუთვნი მხოლოდ იმ ადამიანებს, ვისაც საკუთარი პოზიცია გააჩნია, მაგრამ ნაკ- ლებად კომფორტული პიროვნე- ბა ვარ.

- პროფესია...

- მე-5 კლასში ვიყავი, როდესაც დავინტერესდი იმით თუ რის საფუძველზე აყალიბებენ ადამიანები საკუთარ პოზიციას. მქონდა ეტაპი, როდესაც ადამი- ანებს ფერებს ვამსგავსებდი. მომწონდნენ ისეთები, ვინც სიტობს ასხივებდნენ. ვხვდავდი ადამიანებს, როგორც სიკეთისა და ბოროტების ფერებს. ადამი- ანები ჩემთვის იყვნენ მუქი და ნათელი ფერები. მაინტერესებ- და, რატომ ფიქრობენ სხვადასხ- ვა ადამიანები განსხვავებულად ერთი კონკრეტული თემის შესა- ცხად. აღმოვაჩინე, რომ გაკვე- თილზე, რაღაც მომენტში, მი- ჭირდა მოსმენა და ვფიქრობდი სრულიად სხვა საკითხზე. ეს ხდებოდა ნამიერად და მაინტე- რესებდა, რატომ ხდებოდა ასე.

- მაშინ იაზრებდით, რამდენ- ნად დიდ პასუხისმგებლობას იღებდით?

- გადაფასებული წარმოდგე- ნა არასოდეს მქონია საკუთარ თავზე, მაგრამ გერძობდით, ამის შესაძლებლობა მქონდა. არაფ- რით შემქმლო იმ ადამიანების ლაღატი, რომლებიც დენდო- ბოდნენ. შემქმლო დამეები გა- მეთენებინა, თავი მოეკლა და მათი ნდობა გამემართლებინა, საქმე, რომელიც დამავალეს, აუცილებლად შემესრულებინა.

- წლებთან ერთად ხომ არ განელდა პასუხისმგებლობის გაძლიერებული გრძობა?

- არა, პირიქით. პასუხისმ- გებლობა მომემატა. ცხოვრების არცერთ ეტაპზე არ ვყოფილ- ვარ საკუთარი პიროვნებისკენ კონცენტრირებული. მე კარგად ვიყავი, როდესაც ვაკეთებდი ისეთ საქმეს, სადაც ბევრი ადა- მიანი იყო, როდესაც ვაკეთებდი ისეთ რამეს, რაც ბევრ ადამიანს შეეხებოდა, რითაც ბევრი მიი- ლებდა სიკეთეს. მიწოდდა, ჩემი მშობლები გამეხარებინა კარგი სწავლით, აქტიურობით და ვყო- ფილიყავი ჩემი და-ძმებისთვის მაგალითი.

მითხრა, რომ იყო ლექტორი და სტუდენტებს ასწავლიდა. მაშინ გავიფიქრე - რა ბედნიერი იყო, რადგან ასწავლიდა იმ ადამიანებს, ვინც სკოლაში არ არიან და ვთვლიდი, რომ ეს იყო ყვე- ლაზე მაღალი საფეხური ცხოვ- რებაში. თვითონ ტერმინი „ლექ- ტორიც“ კი ძალიან მოქმედებდა ჩემზე. მაშინ ლექტორობაზე - არა, ფსიქოლოგობაზე ვფიქ- რობდი.

- ბავშვობიდან სრულიად ჩა- მოყალიბებული თვისებების მქონე ყოფილხართ...

- ბავშვობიდან მესმოდა ადა- მიანების. სკოლაში სულ წინ ვი- ჯექი და ჩემს უკან ისხდნენ ბი- ჭები, რომლებიც მეტყოდნენ ხოლმე - გასწორდი; ეს ნიშნავ- და, რომ მათ გადაწერა უნდო- დათ და მე უნდა გადავფარებო- დი. ვიცოდი ეს და ხელს ვუწყობ-

მატებები მავსებს ენერგიით. ასევე, ჩემი მოტივაცია არის ჩე- მი პასუხისმგებლობა. ჩემთვის ბოლო წლები იყო ძალიან რთუ- ლი და ლექციაზე შესულს სტუ- დენტებისგან იმდენ მხარდაჭე- რას ვგრძობდი, რომ ჩემს თავს ვერ ვაპატიებდი, რამე მომეკლო მათთვის. აი, ასეთი დამოკიდე- ბულებები მაძლევს ენერგიას! ახლობლებთან ურთიერთობა ენერგიის წყარო. ხმის ტონით ვხვდები, თუკი რამე ანუხებთ მათ და სანამ არ მეტყვიან, არ ვანებუვ თავს.

- როგორ დაასრულებდით ფრაზას ადამიანი ადამიანისთვის ...

- ვერ ვიტყვი, რომ ადამიანი ადამიანისთვის მხოლოდ მეგო- ბარია. ადამიანი ადამიანისთვის არის ძალა და სიცოცხლე. ჩვენ ვერც კი ვგრძობთ, რამხელა

- გრძობა თუ გონება ...

- მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანები შეცდომათა უმ- რავლესობას ემოციის ხარჯზე ვუშვებთ. გრძობისა და გონების ჭიდილს ორ ანდაზას ვადარებ:

გონებით მიღებულ გადაწყ- ვეტილებას გამოხატავს - „ას- ჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ და ემოციით მიღებულს - „სანამ ბრძენმა მოიარა, გიჟმა ხიდი გა- იარა“. შეიძლება გიჟმა გაიაროს და გაჯობოს ცხოვრებაში, მაგ- რამ სიტუაციის ზუსტი შეფასე- ბა უნდა მიგეძლოს, რასაც მხო- ლოდ გონება აკეთებს.

- დედამიწას გადაარჩენს ...

- კაცთმოყვარეობა, სამყა- რომში მიმდინარე ცვლილებები- სადმი ალტრუისტიული დამოკი- დებულება და არა ეგოცენტრიუ- ლი. ეგოცენტრიზმი დალუპავს მსოფლიოს და გადაარჩენს თა- ნამეგობრობა. კომუნიტების დროს ვამბობდით ამ სიტყვას, მაგრამ მერე რა მოხდა?! სწორი და აქტუალური სიტყვაა! დღეს ძალიან გვეჭირდება თანამეგობ- რობა, ჰუმანიზმი, გულწრფე- ლობა, გაგება, ემპათია ანუ თა- ნაგანცდა. ეს უნდა ყველა დო- ნის ურთიერთობას.

- ადამიანისთვის მნიშვნე- ლოვანია ...

- ჯანმრთელობა. ტარდებო- და კვლევა - რა არის მნიშვნე- ლოვანი პიროვნებისთვის და კითხვარში იყო საგარაუდო პა- სუხების ჩამონათვალი, სადაც არ ენერა ჯანმრთელობა. იმ დროს ვიყავი ცუდად და შევე- კითხე კვლევის ავტორებს, რა- ტომ არ ენერათ ჩამონათვალში ჯანმრთელობა. შემდეგ დაფიქ- რდით და მივხვდი, რომ ადამი- ანები ანიჭებენ უპირატესობას იმას, რაც არა აქვთ. შეიძლება, იმ მომენტში მეც კარგად რომ ვყოფილიყავი, ჯანმრთელობა ყულაც არ გამსხენებდა. ჯანმ- რთელობის გარეშე ქვეითდება განწყობა და შინაგანი რესურსი, ამიტომ ადამიანისთვის ჯანმრ- თელობაა მნიშვნელოვანი.

- რა გალიზიანებთ?

- ძალიან მალიზიანებს უსა- მართლო დამოკიდებულებები და შეფასებები. მალიზიანებს არაპ- როფესიონალიზმი. მალიზიანე- ბენ ისეთი ადამიანები, რომლებ- საც ჰგონიათ, იციან, როგორ გა- მოაცხონ პური, მაგრამ სინაღ- დელიში არ იციან ცხობა. მაქვს მოთხოვნილება, რომ ადამიანები თავისი შესაძლებლობის მიხედ- ვით იკავებდნენ პოზიციებს. მეცნიერულად დამტკიცებულია, როდესაც აკეთებ იმას, რაც არ შეგიძლია, შენს ჯანმრთეობა- ზე ცუდად აისახება. ერთ დღე- საც აღმოაჩენ, რომ ორგანიზმი აგიჯანყდა ამის გამო. კატასტ- როფულად მალიზიანებს უნდობ- ლობა ადამიანებს შორის, ასევე, როდესაც ადამიანები ცდილო- ბენ, საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად გასწორდენ ყვე- ლად ყველაფერი. ასეთ შემთხ- ვეებში მერთვება თავდაცვის რეაქცია - განრიდება.

- ყოველთვის გინდოდათ გეტყვათ...

- ადამიანებმა ძალიან ბევრი უნდა ვიცოდეთ იმ ადამიანებზე, ვისთანაც გვინევს ურთიერთო- ბა. ასევე, ძალიან ბევრი უნდა ვიცოდეთ საკუთარ თავზე. ღრმად უნდა ჩავხედოთ ჩვენს პიროვნებას, რათა ბოლომდე ვიყოთ რეალიზებული. გულს მტკენს თუ ადამიანს შეუძლია, მაგრამ არ არის სათანადოდ რე- ალიზებული. ცუდად ვგრძობთ თავს, როდესაც ადამიანებს ერ- თმანეთის არ გვესმის და არის გაგების დეფიციტი. მიწდა ადა- მიანებს უთხრა, რაც შეიძლება ბევრი იცოდნენ გარშემოყო- ფებზე და საკუთარ თავზე. ეს არის ფორმულა, რითაც ვლბუ- ლობით კარგ ურთიერთობებს.

ინტერვიუერი ნანუკა მიძეაძე

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, ასოცირებულ პროფესორ - გულიკო ზამაშთაძე

დი. მესმოდა უარყოფითი მხა- რეც, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ეს მათ სჭირდებოდათ. ორიანი უნდა მიეღოთ, მერე საშემოდ- გომო გამოყოლოდათ და მთელი ნელი დაეკარგათ; ამიტომ ვუწყობდი გადაწერაში ხელს.

- რობერტ ფროსტს აქვს ასე- თი სტრიქონი ერთ-ერთ ლექსში - „კარგი ღობე ქმნის კარგ მე- ზობლობას“. თუ ააშენებდით სტუდენტსა და ლექტორს შო- რის ღობეს და როგორი იქნებო- და ის?

- უნდა არსებობდეს რაღაც სახის დისტანცია. ღობის არქონა ქაოსს იწვევს. მე არ ვარ მომხრე ყალბი ლიბერალიზმის. მომხრე ვარ ისეთი პედაგოგიური ურთი- ერთობის, როდესაც სწორ დიაგ- ნოსტიკურას ახდენს პედაგოგი და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ნაიყვანს ურთიერ- თობას. საუკეთესოა, როდესაც ურთიერთობის დასრულების შემდეგ პრობლემა არ რჩება და ადამიანებს ესმით ერთმანეთის. ღობის არსებობის აუცილებლო- ბა ყოველთვის არის, მაგრამ რკინის ღობის მომხრე არ ვარ. ვარ დისტანციის მომხრე ყველა სახის ურთიერთობებში.

- სამი თვისება, რომელიც სტუდენტს უნდა ჰქონდეს...

- მოტივაცია იმისათვის, რომ ისწავლოს, დადებითი განწყობა და თავს უნდა გრძობდეს კარ- გად.

- გარდა განათლებისა, ყვე- ლაზე მნიშვნელოვანი რა მიაქვს კურსდამთავრებულს?

- არის მიდგომები, როდესაც ამბობენ - ჯერ განათლება და შემდეგ განვითარება, არის მიდ- გომები - პირიქით. კრაიკი ამ- ბობს: „განვითარება იწვევს ქცევის ცვლილებას“. თუ განვი- თარების პროცესში ქცევა არ შეცვალა, ეს იგი, განვითარება არასწორად მიმდინარეობდა. მაღალკურსელებს ვთხოვ ხოლ- მე შეადარონ, როგორები არიან ახლა და როგორები იყვნენ პირ- ველ კურსზე. ისინი ყოველთვის საუბრობენ მათში მომხდარ ცვლილებაზე. განათლების გარდა, მუდმივი განვითარების მზაობა მიაქვთ.

- რა გავსებთ ენერგიით?

- ჩემი ენერგიის წყარო არის ჩემი ოჯახის წევრების კარგად ყოფნა. ყოველ დღით აუცი- ლებლად უნდა დავურეკო ჩემს დედამამიშვილებს, მათ შვილებს, უნდა ვესაუბრო მათ. მათი წარ-

ძალის და ენერგიის გაღება შეგ- ვიძლია ადამიანებისთვის. არ ვეთანხმები აზრს, რომ თავის გაჭირვებაზე არ უნდა საუბ- რობდნენ ადამიანები. ეს ძალიან დბალი დონის აზროვნებად მი- მანია. დიახ, უნდა გაგინანილო ჩემი სიხარული და დიახ, უნდა გაგინანილო ჩემი ტკივილი, რადგან მე ვარ პიროვნება და უნდა გვესმოდეს ერთმანეთის სიხარულიც და ტკივილიც.

მე ბავშვობაში მიღებული ძა- ლით ვდგავარ ფეხზე. იმ ენერ- გიით, რაც ჩემი მშობლებისგან მივიღე. მაამჩემს რომ საჭმელს გავუმზადებდი, მეტყოდა - გაი- ხედო შენო, არავინ არის, რომ დაუძახო, ნუ მაჭმევ საჭ- მელს მარტოსო. აი, ეს არის ადამიანობა!

მასხოვს, ერთხელ სახლში ძა- ლიან დაღლილი მივედი, შეუძ- ცდილი ვიყავი, თავი მტკიოდა. იმ დღეს, თურმე, დასავლეთიდან ჩამოსულან ჩვენს სოფელში ხი- ლის გასაყიდად და მანქანა გა- იფუჭებიათ. დედაჩემმა მითხრა - ნადი შენო, დაუძახე იმ ხალხს, მოიყვანე, აჭამე, დააპურე, დაა- ძინე და გაისტუმრეო. ძლივს ჩა- ვედი მათთან, მოიყვანე სახლ- ში და გაოცდნენ მასპინძლო- ბით. თქვეს, რომ ამისთვის ღირ- და აქ ჩამოსვლა. დღემდე ასეთი ამბების ძალით მოვდივარ. ჩემი მშობლებისგან ჩამოსული ის დიდი სიკეთე მაძლებიანებს. მათი სიტყვები - „მადლია, შეი- ლო“ მაძლევს ძალას, კვლავაც გავაკეთო სიკეთე.

- როგორ ხვდებოდნენ მშობ- ლები თქვენს კარიერულ წარმა- ტებას?

მასხოვს, დედაჩემი სკამზე იჯდა და ვეუბნები - იცი შენ, პროფესორის დედა ვახდი?! მი- პასუხა - გენაცვალოს, შენ შე- მოგველოს დედაო. თუმცა, არა- სოდეს სხვა ადამიანებთან არ იტყოდნენ არაფერს ჩემს წარმა- ტებებზე. ზოგჯერ მაამჩემი სადღეღობისთვის თქმისას ასხე- ნებდა ხოლმე ამას. მეც ვხვდენე- ბოდი, არ შევექე, რადგან მრ- ცხვენოდა მშობლებისგან ქება.

- ბედნიერება როდესაც ...

- შენს გვერდით ყველა ადამი- ანი კარგად არის. ყველა, მთელი შენი სოციალური, ყველა ადამიანი, ვინც შენს ცხოვრებაშია, იმის მი- უხედავად, რამდენად მნიშვნე- ლოვანია იგი. ღმერთს ვეხვეწები, რომ კარგის მოსურნეც და ცუ- დის მოსურნეც იყოს კარგად.



„წიგნებთან“ ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებას, სიბერეს ამხიარულებს, ბედნიერებას ამშვენებს, უბედურებაში თავშესაფარსა და დამშვიდებას იძლევა – უთქვამს ცნობილ რომაელ პოლიტიკოსსა და მოაზროვნეს **მარკუს ტულიუს ციციროს** და მართლაც, წიგნი არის უნივერსალური საშუალება, რომელიც აკავშირებს და აერთიანებს სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს. ის წლების განავლობაში იდგა ადამიანის სულიერი და გონებრივი განვითარების სადარაჯოზე.

არის თუ არა წიგნი ისეთივე აქტუალური, როგორც ადრე? რამდენად მისაღები და საინტერესოა ის დღევანდელი ევრეთ ნოდებულ „ანდროიდ“

ბის საზოგადოებისთვის? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ალბათ, გაგიჭირდება, თუმცა, სხვადასხვა ფაქტებისა და გარემოებების გაანალიზებისა და წარმოჩენის შემდეგ გარკვეული დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება.

კაცობრიობის ისტორია არ არსებობს ჩანაწერის, ე.წ. „პირველყოფილი წიგნების“ გარეშე, რომლებიც ინერებო-

ლია“ იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების „წმინდა“ წიგნების კრებული, შემოქმედის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი ჭეშმარიტების პირველწყარო, რომელიც ეტიმოლოგიურად იზიფრება ისე, როგორც წიგნი. სავარაუდოდ, აქედან მომდინარეობს სიტყვა ბიბლიოთეკაც. ამიტომაცაა განსაკუთრებული შეგრძნება იმის, რომ წიგნებ-

ნებისმიერი წიგნის გამოწერა, ინტერნეტში უკვე განთავსდა კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები. ასე რომ, ბიბლიოთეკაში მისვლა აღარ არის საჭირო და არც წიგნის მალაზიებში რიგებში დგომა. ამას, რა თქმა უნდა, დადებითი მხარეც აქვს, მაგრამ დამეთანხმებით, სულ სხვაა, როდესაც წიგნთან უშუალო დამოკიდე-

უნდა ვკითხულობდეთ, რომელიც ჩვენში ჭრილობას ტოვებს და გვაშთქვიცებს. თუ წიგნი არ გვაფხიზლებს და გონებას არ გვინათებს, რატომ უნდა ვკითხულობდეთ მას? როგორც შენ ამბობ, უნდა გვაბედნიერებდეს? ლეთის გულისათვის, ისეთი წიგნები, რომლებსაც მხოლოდ სიამოვნების მისაღებად ვკითხულობთ, შეგვეძლო თავადაც დაგვეწერა, თუ დაგეჭირდებოდა“.

რაოდენ დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, როგორც სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლისთვის, ამ სულიერი საგანძურის სადარაჯოზე დგომა. ყოველდღიურად ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის წიგნებით დატვირთულ თაროებს შორის ეძებ სასურველ წიგნს, გადაშლი, რაღაცნაირად, მის სპეციფიურ სუნს შეიგრძნობ. სტრიქონებს ხელს გააყოლებ და მის სულიერ სამყაროში გადააბიჯებ...

წიგნებთან ერთად...

სათუნა კვინცხაძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პიპლოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი

და პაპირუსის ქალაქებზე, ცხოველის ტყავზე, იკვეთებოდა ქვასა თუ რკინაზე. ადამიანს ყოველთვის ჰქონდა სურვილი თავისი ემოცია, ოცნება, იდეა და გამოცდილება ჩაენერა და სხვებისთვის გაეზიარებინა. წიგნმა ყველა ეპოქის, ყველა პოლიტიკური მოვლენის, ყველა ვნებათაღელვის და კაცობრიობის ყველა ნაბიჯი გაიზიარა, მოიტანა ჩვენამდე და გააჰყვება უსასრულოდ. წიგნზე საუბრისას უნდა ვახსენოთ „ბიბ-

ში არის რაღაც ღვთიური, განსაკუთრებული სისპეტაკით, უმაღლესი გენითა და სისუფთავით ნასაზრდოები. წიგნის კითხვა ოდითგანვე პრესტიჟის, დახვეწილობისა და ერუდირებულობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. კითხვა ცხოვრების თანმდევი პროცესის უშუალო მონაწილე იყო, მაგრამ დღევანდელი რეალობა სრულიად განსხვავებულია. სამწუხაროდ, წიგნის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. შესაძლებელია

ბულება გაქვს. ინტერნეტის საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე, მაგრამ ვერ მივიღებთ სიღრმისეულ ცოდნას. წიგნის კითხვისას ჩვენ ვფიქრობთ, ვაზროვნებთ და ვმსჯელობთ, განვიცდით, უბრალოდ, ცოტა ხნით ვტოვებთ ყოფით ცხოვრებას.

სამარადისო შეკითხვაა, თუ რა ზეგავლენა აქვს კითხვას ადამიანის სულზე და მასზე პასუხი საკმაოდ რთულია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კითხვებზე პასუხს არ ეძებს უამრავი ადამიანი. ამ თემაზე ვიხსენებთ კავკას ჩინებულ წერილს მისი ზავშობის მეგობრისადმი: „ვფიქრობ, ყველაზე ხშირად ისეთ წიგნებს

და იმ სამარადისო შეკითხვას მინდა ვუპასუხო და ჩვენს მომავალ თაობას შევასწავლო, რომ წიგნს ამქვეყნად ვერაფერი ჩაანაცვლებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ისეთი ყოვლისშემძლე და ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი და საჭირო გამონაგონი, როგორც კომპიუტერი გახლავთ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მაინორის ჯგუფის 18 სტუდენტმა, ასოცირებული პროფესორის – **თამარ მათიამვილის** ხელმძღვანელობით, მოვიწახვალეთ პროგრამულად განსაზღვრული ძეგლი ძალიას ნაქალაქარი. ჩვენი მიზანი იყო არქეოლოგიური ძეგლის ადგილზე გაცნობა, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ძალიას ნაქალაქარი მდებარეობს მუხრანის ველზე, მცხეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კილომეტრზე და იქვე მდებარეობს მე-2 საუკუნის აკლდამა და სამაროვანი, რომელსაც ჰქვია ნარეკვავის სამაროვანი. იგი ითხრებოდა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში. ახლაც გრძელდება გათხრები არქეოლოგიური **დადრძი ნარიმანიშვილის** ხელმძღვანელობით. ამ ზაფხულს აქ აღმოაჩინეს ბუნა საბეჭდავის ანაბეჭდი, რომელზეც გამოსახული იყო სასანიდი დიდებული, მე-5 საუკუნისათვის დამახასიათებელი შესაბამისი ატრიბუტებით. ძეგლი თვალსაჩინო მონუმბაა ახალი ნელთალ-რიცხვის I საუკუნეებში საქალაქო ცხოვრებისა და დაწინაურების თვალსაზრისით.

ძალიას მოხსენიებულია ბერძენი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემეოსის თხზულებაში. არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ ძველ ქალაქს, დაახლოებით, 70 ჰექტარი ეკავა. ნაქალაქარზე აღმოჩენილია, ევრეთ ნოდებულ, რეგულარული პრინციპით დაგეგმარებული ურთიერთგადამკვეთი ქუჩები და მოედნები, საზოგადოებრივი, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობები, შესანიშნავი მოზაიკები, აბანოები, წყალსადენები და საკანალიზაციო სისტემები. აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მასალა ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ ძირითადი ნაგებობები ახ. წ. I-IV საუკუნეებს განეკუთვნება. სა-

არქეოლოგიური ძეგლი – ძალიას ნაქალაქარი



და აღინიშნოს მინის ჭურჭლისა და სარკმლის მინის ნატეხები, ლურსმნები, აგური, კრამიტი, დიდი რაოდენობით სხვადასხვა სილიდისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კერძოდ – ორყურა ჩაფები, ლუთერიუმების, დოქების, ჯამებისა და სხვათა ფრაგმენტები. მრავლად არის აღმოჩენილი ჭრაქები.

ძალიას ძეგლი ქალაქის ნაგებობები მალაღმბატურული მოზაიკებით და ფრესკებით იყო დამშვენებული. აღმოჩენილია მონუმენტური მოზაიკური იატაკი. სამწუხაროდ, ეს მოზაიკა ჩვენამდე ძალიან დაზიანებულ მდგომარეობაშია მოღწეული. გამოსახულებებისთვის მოზაიკის ცენტრალური ნაწილი ნაგრძელებულ სწორკუთხედებსა და კვადრატებშია მოთავსებული. ცენტრალურ კვადრატში (თანმხლები განმარტებით), ბერძნული წარწერებით, გამოსახული არიან ტახტზე მჯდომარე დიონისე და არიანდა, აგრეთვე – მათი მუდმივი თანამგზავრები: სალამურიანი პანი, მოცეკვავე მენადა, გრძელ სამოსში გამოსახილი ქალები, სავარაუდოდ, მუზები, ცხოველები და სხვადასხვა ნივთები – სამფეხა

მაგდა, იონოზია, კანთაროსი, ყურძნის მტევნები და სურო. ამ გამოსახულებათა ირგვლივ, ოთხ კვადრატში, წარმოდგენილი არიან ფიგურები, რომლებიც წლის სხვადასხვა დროს განასახიერებენ.

კომპლექსში შედის მოზაიკური იატაკით წარმოდგენილი მინიატურული აბანო, რომელსაც არა აქვს არც წყლის შემსვლელი და არც გამსვლელი. აბანო იმდენად პატარაა, რომ ერთ ადამიანსაც კი გაუჭირდება ბანობა. ამდენად, აბანო განკუთვნილი უნდა ყოფილიყო რიტუალური დანიშნულებისათვის. აქ უნდა მომხდარიყო ქურუმის ან ქურუმების განბანვა ტაძარში რიტუალის შესრულების წინ. აბანო, უშუალოდ, ტაძარს უკავშირდება.

განთხარი მასალიდან თვალსაჩინოდ იკვეთება ძვ. წ. II-I საუკუნეები, ახ. წ. I-IV საუკუნეები. ამის შემდეგ ძალიას ნაქალაქარზე ცხოვრება დროებით წყდება, ხოლო ახ. წ. VI-VII საუკუნეებში საქალაქო ცხოვრება განახლებულია.

ძალიას მოზაიკის თარიღს მისი პირველი აღმოჩენი არქეოლოგი **ალექსანდრე ბოხუჩაძე** ახ. წ. II საუკუნით ათარიღებს. პროფესორი **ოთარ ლოთიფანიძე** იზიარებს ამ თარიღს, ხოლო მოზაიკის ის სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებების ანალიზის მიხედვით გამოტანილია დასკვნა, რომ მოზაიკა შექმნილია ახ. წ. III საუკუნის შუახანაში.

ძეგლის მონახულება, რომელიც სასწავლო პროცესს წარმოადგენს, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ უშუალოდ ძეგლთან გვინეწვს ურთიერთობა. თეორიულად ახსნილი და შესწავლილი მასალა, რომელიც საჭიროებს სასემი-



ნარო პროცესს, ჩემთვის უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი გახდა, უშუალოდ ჩემს მიერ წარმოდგენილი მასალა საინტერესოდ წარიმართა. როდესაც ძეგლზე ვიმყოფებოდი, თვალნათლივ დავინახე დიდად მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალები საცურაო აუზსა და რომაულ აბანოსთან მიმართებაში. ძალზე საინტერესო იყო მოზაიკის ნახვა და დაკვირვება თუ რა დიდ ღირებულებას წარმოადგენს. დღევანდელი ამ ძეგლის ხელმძღვანელი არის არქეოლოგი **დავით სულხანიშვილი**. ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო ძეგლის მონახულება და მხოლოდინი ახალი აღმოჩენების.

ძალიას ნაქალაქარის შემდეგ ჩვენ წილკნის ეკლესია მოვიწახვალეთ. ამ ტაძარში განისვენებს იესე წილკნელი, ცამეტი ასურელი მამათავანი. ეკლესიას ეტყობოდა დაზიანებისა და შემდეგ – აღდგენის კვალი, რაც გამოიხატებოდა კედლის მშენებლობაში. ორნამენტურებული ქვები კედლის სხვადასხვა ადგილებში იყო განთავსებული. როგორც ჩანს, ორნამენტის აღდგენა მშენებლობის პროცესში ნაკლებად მნიშვნელოვანი ყოფილა.



დათუნა ჩაღუნელი
ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

„სტუდენტოვა უსაფრთხოება“



ვერსიტეტმა მიმხვედრა, რომ სტუდენტობა ფასდაუდებელი რამ არის. (ნათია)

– ჩემი ცხოვრება ამ სტატუსმა სრულად შეცვალა და ყოველი დღე უფრო მრავალფეროვანი და სახალისო გახდა. სტუდენტობა ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ბედნიერი ეტაპია ჩემ ცხოვრებაში. (ხატია)

– თქვენს საერთო და განსხვავებულ თვისებებზე რას გვეტყვი?

– ორივეს გვაქვს მსგავსი შეხედულებები სხვადასხვა საკითხის მიმართ, ხშირად ხასიათშიც ვემთხვევით ერთმანეთს, თუმცა, მცირედ განსხვავებით კიდეც. ხატია არის თავმოკავებული, ცოტა მორიდებული... ნათია ჩემთან შედარებით უფრო პოზიტიური და მხიარულია, ზოგიერთ შემთხვევაში თავმოკავებულია, თუმცა, ხშირად პირდაპირია.

– შთაბეჭდილებებზე გვიამბეთ, რაც ამ თვეებში დაგვიტოვდა?

– ამ თვეების განმავლობაში ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, დაინახეთ დამოუკიდებელი ცხოვრება, რაც ცოტა რთულია. შევიძინეთ უამრავი მეგობარი, მივიღეთ გამოცდილება და, თითქმის, შევეცუეთ უნივერსიტეტს და სტუდენტურ ცხოვრებას.

– როგორც გამორჩეული სტუდენტები, არა მხოლოდ ფიზიკურად, რას ურჩევთ ცოდნის ამ ეტაპზე თანატოლებს?

– ვურჩევთ, რომ თავი არ დაზოგონ სწავლისთვის, იაქტიურად, ჩაერთონ სხვადასხვა ღონისძიებაში, ეს ყველაფერი მომავალზე აისახება და ვფიქრობ, აქტიურობა და მონდომება ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის.

– ერთი მხიარული ამბავი გაიხსენეთ ჩვენი მკითხველისათვის, რომელიც თქვენს მსგავსებას უკავშირდება. სახელეობიც მხოლოდ ერთი ასობგერით განსხვავდება... თქვენი სახელების შერწყმის ამბავიც გვიამბეთ... (ხატია, ნათია)

– რადგანაც ტყუპები ვართ, ჩვენი გარეგანი ბუნება უჭირს და ამასთან დაკავშირებით ბევრი მხიარული ამბავი გვახსენდება, მაგალითად ის, რომ სკოლაში მასწავლებლებს ვეჩივრებთ ერთმანეთში და ამას დადებითი თვისება ის ჰქონდა, რომ შეგვეძლო ერთ-ერთს მოგვეყოლა გაკვეთილი, თუმცა, ეს ცოტახნის განმავლობაში იყო, რადგან მასწავლებლებმა იპოვეს ჩვენში განსხვავება, ასევე უნივერსიტეტშიც, ლექტორებს და კურსელებსაც უჭირთ ჩვენი გარეგანი.

დედის და მამის მხრიდან ბებების სახელი გვქვია. ეს სასიამოვნო დამთხვევაა.

– თავისუფალი დრო თუ გრჩება? ამბობენ, სტუდენტმა ღამეები უნდა ათენოს კარგი შედეგებისთვის...

– გულწრფელად გეტყვი, რომ თავისუფალი დრო, რა თქმა უნდა, არ გვრჩება, რადგან სწავლა, მართლაც, დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

– სწავლის პროცესზე რას გვეტყვი? რამდენადაც ვიცით, ერთად ამზადებთ სემინარებს?

– სწავლის პროცესს რაც შეეხება, ჩვენთვის შედარებით მარტივია, რადგან მართლაც ერთად ვამზადებთ სემინარებს და გვიადვილებს ერთად მუშაობა, თუმცა, ეს დიდ დროს საჭიროებს და თავისუფალი დრო საერთოდ არ გვრჩება.

– მოლოდინი, რომელიც გქონდათ უნივერსიტეტთან მიმართებით, გაამართლა? რთული აღმოჩნდა თუ ფიქრობთ, რომ მარტივი დასაძლევია სტუდენტური დღეები?

– ჩემი მოლოდინები ამ უნივერსიტეტთან მიმართებაში ნამდვილად გამართლდა და ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვარ. სტუდენტური დღეების დაძლევა თავდაპირველად რთული იყო, თუმცა, როდესაც გვერდით მყავს ადამიანი, ვისაც იგივე სირთულეებთან აქვს კავშირი, უფრო ადვილია სტუდენტური დღეების დაძლევა. (ნათია)

– ჩემი მოლოდინი დიდი იყო უნივერსიტეტის მიმართ, ეს ნამდვილად გამართლდა, უნივერსიტეტთან შეგუება დასაწყისში უფრო რთული იყო, რადგან აქ სულ სხვა გარემოა, სხვა საზოგადოება და ამასთან შეგუებას რაღაც სიძნელეების გადალახვა საჭიროებს, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერს შეგვეუფლა, არანაირი სიძნელი აღარ არსებობს და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ვსწავლობ. ეს უნივერსიტეტი ჩემი მომავლის იმედია. (ხატია)

– ყველაზე მეტად რაზე ოცნებობთ?

– ჩემი ოცნება და მიზანია, რომ წარმატებით დავამთავრო უნივერსიტეტი და ვიყო ჩემი საქმის პროფესიონალი. (ხატია)

– მე ვოცნებობ, რომ გავხდეთ პროფესიონალი პედაგოგი, ამ ოცნების ასრულებაში კი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამეხმარება. (ნათია)

ინტერვიუერი
იზა იანაპარაშვილი
დაწყებითი განათლების I კურსის სტუდენტი

ტყუპები ბორჯომიდან – ასე იცნობენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნათია და ხატია გვარამაძეებს, რომლებიც დაწყებითი განათლების პირველ კურსზე უფასოდ სწავლობენ. ისინი არა მხოლოდ ფიზიკურად გამოირჩევიან, არამედ სწავლითაც, სემინარებზე მაქსიმალურად აქტიურობენ და მათი სახელისა და გვარის გასწვრივ „არა“-ს ვერ შენიშნავენ. ამჯერად გვსურს, ეს ორი უმშვენიერესი სტუდენტი გაგაცნოთ, მათ ცხოვრებასა და ოცნებებზე გვიამბოთ. იქნებ ზოგიერთ მკითხველს სასიამოვნო წარსული და სტუდენტური დღეებიც გაგახსენოთ. მოკლედ, ცოტა უჩვეულო ინტერვიუ გამოგვივა, ხანდახან, ერთ კითხვაზე ორი პასუხიც გვექნება, ისინი ხომ ტყუპები არიან, 17 წლის წინ, 2001 წლის 30 დეკემბერს ერთად მოველინენ სამყაროს.

– რატომ გადანეციტეთ, რომ უმაღლესი განათლება რეგიონის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიგველოთ და არ წასულიყავით თბილისში, როგორც ამას უმრავლესობა აკეთებს?

– მაქსიმალური ინფორმაცია მოვიძიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. არაფრით განსხვავდება ჩვენი უნივერსიტეტის პროგრამა სხვა უნივერსიტეტების პროგრამებისგან, აბსოლუტურად იდენტურია. ამიტომ ჩვენთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა ეს უნივერსიტეტი, ამასთან, ტერიტორიულად ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვა ქალაქი. თანდათან ვრწმუნდებით, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ.

– რა ემოციები გამოიწვია თქვენში უნივერსიტეტში?

– უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპია და, რა თქმა უნდა, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, რადგან აქ სხვა გარემოა, სხვა საზოგადოება და ეს გავლენას ახდენს ყველაფერზე. ამ უნი-

– მსოფლიო ოკეანის ნაგვის 80% პლასტიკია;

– 1 პოლიეთილენის პარკის დასამზადებლად დახარჯული ნაერთობი საკმარისია, რომ ავტომობილმა გაიაროს დაახლოებით 10-12 მეტრი.

– მსოფლიო მასშტაბით წარმოებული პოლიეთილენის პარკების მხოლოდ 1-3% გამოიყენება მეორად ნედლეულად.

– მათ დამლას ბუნებაში სჭირდება

(REPLASE), რომელიც მოგვიწოდებს – შევცვალოთ პოლიეთილენის პარკები, პლასტმასის ბოთლები და ჭურჭელი მინის ჭურჭელით და ჰიდრობიოდეგრადირებადი პარკებით.

ძალადის პაკეტიზი

ქალაქის პაკეტების წარმოებისას წყალი და ჰაერი უფრო ბინძურდება, ვიდრე პოლიეთილენის პარკების წარმოებისას. ქალაქის



ბედთან შედარებით, ეკოლოგიურად უსაფრთხოა.

საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ნარჩენებით (ქიმიური ნივთიერებებით).

პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს არა მხოლოდ გარემოს დაბინძურებას, არამედ ნარჩენების მართვის პრობლემებს. მსოფლიო წამყვანი ქვეყნები, მრავალი წელია, ცდილობენ ნარჩენების პრობლემის გადანეციტას, რის გამოც, ნარჩენების მართვის სფეროში, მუდმივად ახალ მიდგომებს და ტექნოლოგიებს გვთავაზობენ.

ბოლო ასეთი ინიციატივა გახლდათ 4R, რომელიც ნიშნავს ნარჩენების მართვას და გულისხმობს მის შემცირებას, ხელახალ გამოყენებას, გადამამუშავებას და შეცვლას. სტატიაში, რომელიც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხა იხილეთ, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის სპეციალისტის მე-3 კურსის სტუდენტმა – სოფიო შანაშაძემ. ყურადღება გამახვილებულია საკითხზე – პოლიეთილენის ჩანაცვლება ბიოდეგრადირებადი პარკებით გამოსავალია თუ ახალი პრობლემა?

ბიოდეგრადირებადი პარკები - გამოსავალი თუ ფარული საფრთხე?

ბა, დაახლოებით, 300-700 ნელი, ანუ დღეისთვის არც ერთი არ დამალია, რაც კი გვინარჩობია.

– მთლიანი დამლის შემდეგაც კი ინარჩუნებენ ტოქსიკურობას. ჩრდილოეთის ოკეანის ოკეანის ზოგიერთ ნაწილში 1 ლიტრი მოცულობის ყინულში აღმოჩენილია 120 000 პლასტიკის მიკრონაწილაკი, სულ 17 სახეობის ხელოვნური ნივთიერება მოიხაზა. პაკეტების მიზეზით ყოველწლიურად მსოფლიოში იღუპება 100 000 ზღვის ცხოველი და 11 მილიონი ზღვის ფრინველი. თუ ამ ყველაფერს ასე განვაგრძობთ, 2050 წლისთვის წყალში თევზებზე მეტი პარკები იქნება.

პაკეტებს აწარმოებენ: ჩვეულებრივი ქალაქისგან, მუყაოსგან, გრაფიტის ქალაქისგან, ეფალინისა და ლუქსპაის ცელულოზისგან და სხვა, რომელთა წარმოებისას, ძირითადად, იყენებენ „პირველად მერქანს“. წარმოებას, აგრეთვე, სჭირდება დიდი რაოდენობით ელექტროენერჯია და წყალი. შესაბამისად, ვლემულობთ ძლიერ დაბინძურებულ ჩამდინარე წყლებს, რომელთა განმენდას სჭირდება ძვირად ღირებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პლასტიკის ქალაქით ჩანაცვლება შეიძლება დავუშვათ განსაზღვრული პირობებით:

– ინფორმაციის უზრუნველყოფა ნედლეულის წარმოების შესახებ;

– ქალაქის პაკეტების მეორადი გადამამუშავების უზრუნველყოფა;

– ქალაქის პაკეტების დამზადების აკრძალვა მცირეტიანი და მაღალი ღირებულების მასივებიდან.

საფუთი მასალები, ერთჯერადი ბოთლები, ერთჯერადი ჭიქები, თევზები, კოვზები და ბოლოს – ყველა ზემოთ ხსენებული პროდუქტების ნარჩენების შესაგროვებელი ტომრები. პოლიმერების წარმოების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პლასტმასის მასალის ჩანაცვლება და კონსერვაცია.

რატომ ვამოვიდა პლასტიკი ჩვენს ცხოვრებაში?

თავის დროზე პლასტიკის გამოყენება დაიწყო იმ მიზნით, რომ ბუნება დაეცვათ მინის დამოკიდებული მოქმედებისგან, თუმცა, ასე არ მოხდა და პლასტიკმა გამოიწვია კიდევ უფრო მეტი პრობლემა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, დაიწყო პოლიეთილენის პარკების დამზადება და გამოყენება.

თავდაპირველად მისი წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო 1957 წელს, ხოლო გამოყენება სუპერმარკეტებში – 1977 წელს. საინტერესოა სტატისტიკა, რომელიც ხაზულ სურათს ჰქმნის ბიოდეგრადირებადი პარკების თვისებებსა და მათი ზეგავლენის შესახებ.

– ყოველდღიურად მსოფლიოში მზადდება 5 ტრილიონი პოლიეთილენის პარკი. ყველა რომ გადავაბათ, შესაძლებელია, დედამიწას 7-ჯერ შემოვავსოთ;

– ყოველ წაშლი მსოფლიოში გამოიყენება 160 000 პაკეტი;

– 1 ტონა პაკეტის გადამამუშავებას ესაჭიროება 4000 დოლარი;

– ერთი პაკეტი თავის მომხმარებელს ემსახურება დაახლოებით 25 წუთს;

3R და 4R ინიციატივა

2005 წელს, იაპონიაში გავრცელდა ინფორმაცია 3R ინიციატივის შესახებ და შემდეგ წელს მსოფლიოს 20-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა მის განხორციელებაში. 3R ტერმინი წარმოადგენს სამი სიტყვის პირველი ასოების ერთობლიობას, რომელიც უმთავრესია ნარჩენების მართვის პროცესში. ესენია: **RE- DUCE** – შემცირება, **REUSE** – ხელახალი გამოყენება, **RECYCLE** – გადამამუშავება. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ჩნდება ახალი ტერმინი 4R, რაც მეოთხე პრინციპს გულისხმობს – შევცვალს

რა არის ბიოდეგრადირებადი?

ეს არის სინთეტიკური და მიკრობიოლოგიური სინთეზური პოლიმერი. პოლიმერი ითვლება ბიოდეგრადირებად თუ მისი მთლიანი მასა მინაში და წყალში იშლება 6 თვის განმავლობაში. ბიო – წარმოსახვაში გულისხმობს ადამიანის უსაფრთხო

უარყოფითი მხარეები კი ასე ხასიათდება: შეზღუდულია მისი ფართო წარმოება; მისი ფასი, პოლიეთილენთან შედარებით, ძვირია (1 კგ. პოლიეთილენი – 5 ლარი, ხოლო ბიოდეგრადირებადი 2,5-დან 5 ევრომდე ღირს). რაც უფრო გაიზრდება მისი წარმოება, ფასი შემცირდება.

შიქლაზა დავასკვნათ – რატომ არაა პოლიმერი ბიოპლასტიკი?

მისი წარმოებისთვის გამოიყენება მცენარეული კულტურები ანუ მისი წარმოება კონკურენციას უწევს კვების პროდუქტებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რამდენჯერ შემცირდა მსოფლიო მასშტაბით, სახნავი მიწის ფართობები და წყლის რესურსებზე გავრდილ მოთხოვნილებას, ეს საკითხი შეიძლება გადამწყვეტ გავლენას იქონიებდეს ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების შესახებ გადაწყვეტილებაში. აღსანიშნავია ისიც თუ როგორ ინარჩუნება მსოფლიოში მცენარეული კულტურები (მათ მოსაყვანად იყენებენ ქიმიურ დანამატებს: ხელოვნურ სასუქებს, პესტიციდებს, მხამ-ქიმიკატებს და სხვა). ასევე, ბიოპლასტიკის დასამზადებლად ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ქალაქი, რაც გამოიწვევს დამქნის გამოყენების მასშტაბების შემცირებით გავრდას. გარდა ამისა, ბიოდეგრადირებადი პარკების კომპოსტირებისას გამოიყოფა სათბურის აირები, რაც გარემოს გლობალური დათბობის ხელშემწყობი ფაქტორია.

ჩვენი მიზანია, მოსახლეობისთვის თვალსაჩინო გახდეს თუ რა არის ბიოდეგრადირებადი პარკები, რატომ ჩანაცვლა მან პოლიეთილენი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის თუ არა იგი ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო მომხმარებლისთვის.



პარკის ეტიკეტები:

1. იშლება ბუნებრივ პირობებში – კომპოსტირებით (compostable). 2. იშლება ბუნებრივ პირობებში და ბოლომდე შეუსწავლელია უსაფრთხოებას და გაქრობაზე – ბიოდეგრადირებადი (ბიოდეგრადებადი) 3. ყველა ახლად შექმნილი და ნაკლებად შესწავლილი პლასტიკი (other).

სემინარი ევროატლანტიური ინტეგრაციის საბიუჯეტო



ნატოს დღეების ფარგლებში, 24-25 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, რეგიონში მცხოვრები სტუდენტებისათვის, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში სემინარი გაიმართა, რომლის მიზანაც რეგიონში მცხოვრები სტუდენტებისათვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ცნობადობის ამაღლება გახლდათ.

თავდაპირველად შეირჩა 30 სტუდენტი 6 რეგიონული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მათ შორის იყვნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტები: **მარიამ ლევიშვილი, ლია ბერიძე, დონარი ლონდარიძე, ლამარა თელიაშვილი;** მათ შორის გახლდათ მე.

სემინარი გახსნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა **თამარ წულეისკირმა** და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ **მარჩინ უოპოვსკიმ**. შემდგომ მომხსენებლებმა ისაუბრეს თემებზე: **„NATO-საქართველოს ურთიერთობები, თანამშრომლობის მექანიზმები და მიმდინარე პროცესი.“, „70-NATO-ს ისტორია, განვითარების ეტაპები და თანამედროვე გამოწვევები“, „კიბერუსაფრთხოების როლი ნატო-ს დღის წესრიგის ტრანსფორმაციაში“.** სემინარის მეორე დღეს კი განხილული იქნა შემდეგი თემები: **„ანტიდასავლური პროპაგანდა და მასთან ბრძოლა“.**

ლის მეთოდები; გაგრძელებული მითები ნატოს შესახებ“, „ნატო და საქართველო შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში“ და „საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, მისი მნიშვნელობა ნატოსთან დაახლოების პროცესში“.

როგორც ვხედავთ, სემინარის ორივე დღე საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესო იყო ისეთი თემებით, რომელიც, დღესდღეობით, აქტუალური და პრობლემურია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თითოეული თემის განხილვის დასრულების შემდეგ იმართებოდა დისკუსია, რაც სტუდენტებს აძლევდა შესაძლებლობას, გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, დაეცვათ კითხვები მომხსენებელთათვის, რომლებიც საკმაოდ კვალიფიციური და გამოცდილი არიან.



და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტმა ნამდვილად გაამართლა. სტუდენტებმა, ორი დღის განმავლობაში, მიიღეს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციები, რომელთა ცოდნაც, დღესდღეობით, ძალიან საჭიროა და ხელს შეუწყობს მათ სამომავლო კარიერულ წინსვლას. სემინარის შეჯამებისას სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები.

მარიამ სუდაძე
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

ასტრიალბა კომპიუტორმა – ანტონი ბრუკნერმა თქვა: „ვისაც მალალი კომპიუს აგება სურს, დიდხანს უნდა დაკავდეს ფუნდამენტის ამოყვანით“. გოგონა, ვის ზეც გვესურს გესაუბროთ, „ფუნდამენტის ამოყვანის“ პროცესშია, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსზე სწავლობს, მაგრამ საკუთარი თავი სხვა სფეროშიც აღმოაჩინა. სურს, სამომავლო საქმიანობა ორგანიზაციის სტრუქტურის შესწავლისა და განვითარების საქმეს დაუთმოს, ჩაერთოს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში და მიღებული გამოცდილება თანატოლებს, სკოლის მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს გაუზიაროს.

ურთიერთობა. უნივერსიტეტის დახმარებით, მომეცა შესაძლებლობა, მიმელო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში. მივხვდი, რომ პოლონეთში გატარებული ნახევარი სემესტრი არ იყო საკმარისი ჩემი განვითარებისთვის და გადავწყვიტე, სხვა პროგრამებშიც მეცადა ბედი.

პროექტის მთავარი მოდელია, რომ ბავშვები ასწავლიან ბავშვებს. მათ ჰყავდათ ინსტრუქტორები, რომლებიც ეხმარებოდნენ ერთმანეთის გაცნობასა და დამეგობრებაში. ორი კვირის შემდეგ, 120 ბავშვი მიდის ერთ კონკრეტულ ადგილას და ემზადება ერთობლივი კონცერტისთვის. მთავარი ნიბლი არის ის, რომ კონცერტზე, ერთმანეთის ეროვნულ სიმღერებსა თუ ცეკვებს ასრულებენ. – გვეუბნება თამარი.

ანა არუთუნიანი: ჩემი სწავლების საუკმაოდ უნივერსიტეტი

ანა არუთუნიანი იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. მისი წარმატებების შესახებ გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტი“ არაერთხელ გვისაუბრია. ანას კიდევ ერთ მიღწევაზე მოგიხსენებთ ახლაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური ცენტრების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ანამ გაიმარჯვა და ფულადი ჯილდო და სიგელები დაიმსახურა. თემი – „**საზღვრების ცხოვრება**“.

იმეგობრონ სხვადასხვა ეროვნების ხალხებმა. ქართულად წერის სტრუქტურა უნივერსიტეტში ვისწავლე, გავხდი უფრო გაბედული და თუ არა უნივერსიტეტი, ამ თემას ვერ დავხერდიო, ამბობს ანა: **განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ენის შესწავლის კურსით სახელმწიფო ბევრ კარგ პროგრამას ვგვაჯავობს. ასევე, ძალიან კარგად მიმდინარეობს ინტეგრაციის პროცესი. ვრ-**

„საზღვარბარიტმა უკეთ დამანახა ჩემი სამშობლო“



როს. ამბობს, რომ წარმატების მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი დედაქალაქის, რომელიმე დიდ უნივერსიტეტში ისწავლო. მისთვის პედნიერებაა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობს, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვლილიყო და საკუთარი თავი უკეთ შეეცნო.

პოლონეთში გამგზავრებულიყო. როგორც ამბობს, ორი თვე არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ენსადას პოლონური ენა. უნდოდა, მეტი გამოცდილება მიეღო. ორი თვის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და... მალევე შეატყობინეს, რომ ამავ პროგრამის ფარგლებში შეეძლო, ათი თვით კვლავ გამგზავრებულიყო პოლონეთში. რა თქმა უნდა, დასთანხმდა. პოლონეთში, სურვილის მიხედვით, მას შეეძლო, ჩართულიყო არასამთავრობო ორგანიზაციების, სკოლების, სამთავრობო თუ სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობაში. მას არასამთავრობო სექტორის საქმიანობა აინტერესებდა. ამიტომ გადაწყვიტა, ამ სფეროში ეცადა ბედი. ამბობს, რომ უცხო ქვეყანაში, სრულიად მარტო, ბევრ რამეს სწავლობ. გინევის იბრძოლო, დამიკვიდრო საკუთარი თავი. ასევე, გაქვს დრო, იფიქრო მომავალზე.

პოლონეთში თამარის საქმიანობა საინტერესო და მრავალმხრივი იყო. გარდა იმისა, რომ გვემავდა ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა და პრეზენტაციებს, თავადვე უძღვებოდა ამ შეხვედრებს. ასევე, ერთ-ერთ პროგრამაში, რომლის მიზანს მსოფლიოს მასშტაბით სოციალურად დაუცველი ბავშვების პოლონეთში ჩაყვანა, მათ თანატოლებთან შეხვედრა და ერთმანეთის კულტურის გაცნობა წარმოადგენდა, ინსტრუქტორების დამხმარედ მუშაობდა. ეს ბავშვები, თავდაპირველად, მასპინძელ ოჯახებში ცხოვრობდნენ პოლონეთის ხუთ ქალაქში. მათ უტარდებოდათ სამუშაო შეხვედრები. ბავშვები ერთმანეთს ასწავლიდნენ თავიანთ კულტურას. ამ



ცლად ვისაუბრე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შესახებ, რომელიც წარმატებით ხორციელდება. ჩემი წარმატების საფუძველი სწორედ ამ უნივერსიტეტიდან იღებს სათავეს. ტოლერანტული გარემო, ლექტორების დამოკიდებულება, ძალიან მაღალი დონეზე ამ უნივერსიტეტში. ასევე, ქართველმა საზღვარბარიტმა ურთიერთობა ყველაზე უკეთ აქ შევქმელი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ის ადგილი, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების ურთიერთობების მაგალითზე, ჩემი თემა სრულყოფილად დამეწერა.

რედაქტორი
მარიამ ჯიქიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, მარიამ სუდაძე, ანა არუთუნიანი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge